

სს „დარიალი ენერჯი“

ფინანსური ანგარიშგება

*2021 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის
დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნასთან ერთად*

სს „დარიალი ენერჯი“

ფინანსური ანგარიშგება

2021 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

სარჩევი

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

ფინანსური ანგარიშგება

სრული შემოსავლის ანგარიშგება	4
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება.....	5
კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება	6
ფულადი ნაკადების ანგარიშგება.....	7
ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები.....	8-35



**Building a better
working world**

EY LLC
Kote Abkhazi Street, 44
Tbilisi, 0105, Georgia
Tel: +995 (32) 215 8811
Fax: +995 (32) 215 8822
www.ey.com/ge

შპს იუაი
საქართველო, 0105 თბილისი
კოტე აფხაზის ქუჩა 44
ტელ: +995 (32) 215 8811
ფაქსი: +995 (32) 215 8822

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

სს „დარიალი ენერჯის“ ხელმძღვანელებს და აქციონერებს

მოსაზრება

ჩავატარეთ სს „დარიალი ენერჯის“ (შემდგომში „კომპანია“) ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც შედგება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებისგან 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ასევე აღნიშნული თარიღით დამთავრებული წლის სრული შემოსავლის ანგარიშგებისგან, საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებისგან, ფულადი ნაკადების ანგარიშგებისგან და ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნებისგან, მათ შორის მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვისგან.

ჩვენი აზრით, წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობას 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აგრეთვე მისი საქმიანობის ფინანსურ შედეგებსა და ფულადი სახსრების მოძრაობას ამავე თარიღით დასრულებული წლისთვის, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების („ფასს“) შესაბამისად.

მოსაზრების საფუძველი

აუდიტი წარმართეთ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების („ასს“) შესაბამისად. პასუხისმგებლობა, რომელსაც აღნიშნული სტანდარტები ჩვენთვის ითვალისწინებს, დაწვრილებით არის აღწერილი ჩვენი დასკვნის ნაწილში სახელწოდებით „აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე“. ჩვენ ვართ კომპანიისგან დამოუკიდებლები ბუღალტერთა ეთიკის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (IESBA) „პროფესიონალი ბუღალტრების ეთიკის საერთაშორისო კოდექსის“ (საერთაშორისო დამოუკიდებლობის სტანდარტების ჩათვლით) (IESBA კოდექსი) შესაბამისად, და შესრულებული გვაქვს IESBA-კოდექსით გათვალისწინებული სხვა ეთიკური ვალდებულებებიც. გვჯერა, რომ ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი მოსაზრების გამოსათქმელად საჭირო საფუძვლის შესაქმნელად.

კომპანიის 2021 წლის წლიურ ანგარიშში ასახული სხვა ინფორმაცია

სხვა ინფორმაცია გულისხმობს კომპანიის 2021 წლის წლიურ ანგარიშში ასახულ ინფორმაციას, გარდა ფინანსური ანგარიშგებისა და მასზე გაცემული აუდიტორის დასკვნისა. სხვა ინფორმაციაზე პასუხისმგებელია ხელმძღვანელობა. კომპანიის 2021 წლის წლიური ანგარიშში ჩვენთვის ხელმისაწვდომი სავარაუდოდ გახდება წინამდებარე დასკვნის თარიღის შემდეგ. ფინანსურ ანგარიშგებაზე გამოხატული ჩვენი მოსაზრება არ მოიცავს სხვა ინფორმაციას და მასთან დაკავშირებით ჩვენ არც ახლა და არც მომავალში გამოვთქვამთ რწმუნებას რამე ფორმით, ფინანსური ანგარიშგების აუდიტის შესახებ ჩვენს ანგარიშში.

ფინანსური ანგარიშგების აუდიტთან დაკავშირებით ჩვენი პასუხისმგებლობაა წავიკითხოთ ზემოაღნიშნული სხვა ინფორმაცია, როდესაც ის ჩვენთვის ხელმისაწვდომი გახდება, და განვიხილოთ, არის თუ არა ის არსებითად შეუსაბამო ფინანსურ ანგარიშგებასთან ან აუდიტის განმავლობაში ჩვენ მიერ მიღებულ ცოდნასთან, ან თუ შეიცავს სხვა არსებით უზუსტობას.

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ამ ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე ფასს-ის შესაბამისად, ასევე შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეული არსებითი უზუსტობისგან თავისუფალი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობაა შეაფასოს, შესწევს თუ არა კომპანიას უნარი, საქმიანობა გააგრძელოს, როგორც ფუნქციონირებადმა საწარმომ, კონკრეტული შემთხვევიდან გამომდინარე, განაცხადოს ფუნქციონირებად საწარმოსთან დაკავშირებული საკითხები და აღრიცხვისას გამოიყენოს ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვება, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ხელმძღვანელობას განზრახული აქვს კომპანიის ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა, ან თუ მას არ აქვს რეალური არჩევანი ასე რომ არ მოიქცეს.

აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე


ჩვენი მიზანია გონივრული რწმუნების მოპოვება იმაზე, ფინანსური ანგარიშგება მთლიანობაში თავისუფალია თუ არა თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეული არსებითი უზუსტობისგან და აუდიტორის დასკვნის გამოცემა, რომელიც ჩვენს მოსაზრებას შეიცავს. გონივრული რწმუნება არის მაღალი დონის რწმუნება, მაგრამ არა გარანტია იმისა, რომ ასს-ის შესაბამისად ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს არსებით უზუსტობას (ასეთის არსებობის შემთხვევაში). უზუსტობები შეიძლება გამოწვეული იყოს თაღლითობით ან შეცდომით და არსებითად მიიჩნევა მაშინ, თუ არსებობს გონივრული მოლოდინი იმისა, რომ ისინი ცალ-ცალკე ან ერთობლივად გავლენას იქონიებენ მომხმარებლების მიერ წინამდებარე ფინანსურ ანგარიშგებაზე დაყრდნობით მიღებულ ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე.

ასს-ის მიხედვით, აუდიტის ჩატარების პროცესში ჩვენ მივმართავთ პროფესიულ განსჯას და ვინარჩუნებთ პროფესიულ სკეპტიციზმს. ჩვენ ასევე:

- ▶ გამოვავლენთ და ვაფასებთ ფინანსურ ანგარიშგებაში თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეული არსებითი უზუსტობის რისკებს, ვგეგმავთ და ვატარებთ აუდიტორულ პროცედურებს ამ რისკებზე რეაგირების მიზნით და მოვიპოვებთ აუდიტორულ მტკიცებულებას, რომელიც საკმარისი და შესაფერისია აუდიტორული მოსაზრების გამოთქმისთვის საფუძვლის შესაქმნელად. თაღლითობით გამოწვეული არსებითი უზუსტობის რისკი უფრო მაღალია, ვიდრე შეცდომით გამოწვეული რისკი, რადგან თაღლითობა შეიძლება მოიცავდეს საიდუმლო მორიგებას, გაყალბებას, ინფორმაციის განზრახ გამოტოვებას, არასწორი ინფორმაციის წარდგენას ან შიდა კონტროლის უგულებელყოფას.

- ▶ შვეიცარული აუდიტის შესაბამის შიდა კონტროლს, რათა დავგეგმოთ მოცემული კონკრეტული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ კომპანიის შიდა კონტროლის ეფექტურობაზე.
- ▶ ვაფასებთ ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკების, ასევე მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებების და შესაბამისი განმარტებითი შენიშვნების მართებულობას.
- ▶ ვაფასებთ, რამდენად მართებულია ხელმძღვანელობის მიერ აღრიცხვისთვის ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვების გამოყენება და, მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით ვასკვნით, არსებობს თუ არა ისეთ მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა, რაც შეიძლება მნიშვნელოვანი ეჭვის საფუძველი გახდეს იმასთან მიმართებაში, შეძლებს თუ არა კომპანია გააგრძელოს საქმიანობა, როგორც ფუნქციონირებადმა საწარმომ. თუ დავასკვნით, რომ არსებითი განუსაზღვრელობა არსებობს, ვალდებულები ვართ, აუდიტორის დასკვნაში ყურადღება გავამახვილოთ ფინანსური ანგარიშგების შესაბამისი განმარტებითი შენიშვნებზე, ან, თუ განმარტებითი შენიშვნები არ არის საკმარისი, მოვახდინოთ ჩვენი მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები ეყრდნობა აუდიტორის დასკვნის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებას. თუმცა სამომავლო მოვლენებმა ან პირობებმა შეიძლება გამოიწვიოს კომპანიის, როგორც ფუნქციონირებადი საწარმოს ფუნქციონირების შეწყვეტა.
- ▶ მთლიანობაში ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების წარდგენას, სტრუქტურას და შინაარსს, განმარტებითი შენიშვნების ჩათვლით, და აგრეთვე იმას, თუ ასახავს ფინანსური ანგარიშგება საბაზისო ოპერაციებს და მოვლენებს ისე, რომ უზრუნველყოფილ იქნას სამართლიან წარდგენას.

მართვის უფლებამოსილებით აღჭურვილ პირებს, სხვა საკითხებთან ერთად, ვატყობინებთ აუდიტის მასშტაბს და ვადებს, აგრეთვე აუდიტორული შემოწმების მნიშვნელოვან შედეგებს, მათ შორის აუდიტის პროცესში გამოვლენილ შიდა კონტროლის მნიშვნელოვან ნაკლოვანებებს.



ანა კუსრაშვილი

შპს „იუაის“ სახელით

თბილისი, საქართველო

2022 წლის 18 მარტი

სს „დარიალი ენერჯი“


სრული შემოსავლის ანგარიშგება

2021 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

ათას ლარში

	შენიშვნა	2021	2020
შემოსავალი ელექტროენერგიის რეალიზაციიდან	10	88,050	74,117
ცვეთა	5, 6	(7,030)	(7,014)
მიწის და ქონების გადასახადი		(2,391)	(2,389)
ხელფასები და თანამშრომელთა სხვა სარგებელი		(1,894)	(1,666)
გადამცემი ხაზების რეაბილიტაციის დანახარჯები		(116)	(153)
სხვა საოპერაციო ხარჯები	11	(2,635)	(2,646)
სხვა საოპერაციო შემოსავალი		224	418
საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული მოგება		74,208	60,667
ფინანსური შემოსავალი	7	242	432
ფინანსური ხარჯები	9	(12,544)	(12,132)
საკურსო სხვაობიდან მიღებული ზარალი, წმინდა		10,666	(25,109)
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი		-	311
მოგება დაბეგვრამდე		72,572	24,169
მოგების გადასახადის სარგებელი	12	(1,864)	-
წლის წმინდა მოგება		70,708	24,169
სხვა სრული შემოსავალი		-	-
წლის მთლიანი სრული შემოსავალი		70,708	24,169

ეს ფინანსური ანგარიშგება კომპანიის ხელმძღვანელობის მიერ დამტკიცდა და მისი სახელით ხელი მოეწერა 2022 წლის 18 მარტს:


გიორგი ჯავთაყაძე
გენერალური დირექტორი


ზვიად ჯავახიძე
მთავარი ბუღალტერი

8-35 გვერდებზე წარმოდგენილი შენიშვნები წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია.

სს „დარიალი ენერჯი“

სრული შემოსავლის ანგარიშგება

2021 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

ათას ლარში

	შენიშვნა	2021	2020
შემოსავალი ელექტროენერგიის რეალიზაციიდან	10	88,050	74,117
ცვეთა	5, 6	(7,030)	(7,014)
მიწის და ქონების გადასახადი		(2,391)	(2,389)
ხელფასები და თანამშრომელთა სხვა სარგებელი		(1,894)	(1,666)
გადამცემი ხაზების რეაბილიტაციის დანახარჯები		(116)	(153)
სხვა საოპერაციო ხარჯები	11	(2,635)	(2,646)
სხვა საოპერაციო შემოსავალი		224	418
საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული მოგება		74,208	60,667
ფინანსური შემოსავალი	7	242	432
ფინანსური ხარჯები	9	(12,544)	(12,132)
საკუროსო სხვაობიდან მიღებული ზარალი, წმინდა		10,666	(25,109)
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი		–	311
მოგება დაბეგვრამდე		72,572	24,169
მოგების გადასახადის სარგებელი	12	(1,864)	–
წლის წმინდა მოგება		70,708	24,169
სხვა სრული შემოსავალი		–	–
წლის მთლიანი სრული შემოსავალი		70,708	24,169

ეს ფინანსური ანგარიშგება კომპანიის ხელმძღვანელობის მიერ დამტკიცდა და მისი სახელით ხელი მოეწერა 2022 წლის 18 მარტს:

გორგი ქავთარაძე
გენერალური დირექტორი

ზვიად ალავიძე
მთავარი ბუღალტერი

8-35 გვერდებზე წარმოდგენილი შენიშვნები წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია.

სს „დარიალი ენერჯი“

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

ათას ლარში

	შენიშვნა	2021	2020
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	5	218,443	224,473
გამოყენების უფლებით გადმოცემული აქტივები	6	411	453
არამატერიალური აქტივები		7	3
ფულადი სახსრები, რომელთა გამოყენებაც შეზღუდულია	7	20,243	17,809
სულ გრძელვადიანი აქტივები		239,104	242,738
მიმდინარე აქტივები			
სასაქონლო-მატერიალური მარაგები		482	321
გადახდილი ავანსები		188	461
სავაჭრო მოთხოვნები	10	4,717	3,569
წინასწარ გადახდილი გადასახადები		–	130
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	7	23,940	15,357
სულ მიმდინარე აქტივები		29,327	19,838
სულ აქტივები		268,431	262,576
კაპიტალი და ვალდებულებები			
კაპიტალი	8		
სააქციო კაპიტალი		84,233	84,233
კაპიტალის სხვა რეზერვები		3,738	3,738
გაუნაწილებელი მოგება / (აკუმულირებული ზარალი)		41,314	(8,952)
სულ კაპიტალი		129,285	79,019
გრძელვადიანი ვალდებულებები			
პროცენტიანი სესხები	9	104,659	141,043
საიჯარო ვალდებულებები	6	322	362
ტყის მასივის აღდგენის ხარჯის რეზერვი	4	1,268	1,851
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		106,249	143,256
მიმდინარე ვალდებულებები			
პროცენტიანი სესხები	9	28,748	28,678
სუბორდინირებული სასესხო კრედიტორული დავალიანება		–	10,902
ტყის მასივის აღდგენის ხარჯის რეზერვი	4	437	331
საიჯარო ვალდებულებები	6	87	107
ძირითად საშუალებებთან დაკავშირებული კრედიტორული დავალიანება		42	147
გადასახდელი დივიდენდები		2,771	–
საგადასახადო კრედიტორული დავალიანება		779	–
სხვა კრედიტორული დავალიანება		33	136
სულ მიმდინარე ვალდებულებები		32,897	40,301
სულ ვალდებულებები		139,146	183,557
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები		268,431	262,576

8-35 გვერდებზე წარმოდგენილი შენიშვნები წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია.

სს „დარიალი ენერჯი“

საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება

2021 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

ათას ლარში

	სააქციო კაპიტალი	კაპიტალის სხვა რეზერვები	გაუნაწილებელი მოგება/(აკუმუ- ლირებული ზარალი)	სულ
ნაშთი 2019 წლის 31 დეკემბერს	84,233	3,738	(33,121)	54,850
წლის მთლიანი სრული შემოსავალი	–	–	24,169	24,169
ნაშთი 2020 წლის 31 დეკემბერს	84,233	3,738	(8,952)	79,019
წლის მთლიანი სრული შემოსავალი	–	–	70,708	70,708
გამოცხადებული დივიდენდები (8-ე შენიშვნა)	–	–	(20,442)	(20,442)
ნაშთი 2021 წლის 31 დეკემბერს	84,233	3,738	41,314	129,285

8-35 გვერდებზე წარმოდგენილი შენიშვნები წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია.

სს „დარიალი ენერჯი“

ფულადი ნაკადების ანგარიშგება

2021 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

ათას ლარში

	შენიშვნა	2021	2020
საოპერაციო საქმიანობა			
მოგება დაბეგვრამდე		72,572	24,169
არაფულადი კორექტივები დაბეგვრამდე ზარალის წმინდა			
ფულად ნაკადებთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით			
ცვეთა		7,030	7,014
საინვესტიციო და ფინანსურ საქმიანობაში საკუროსო სხვაობიდან			
მიღებული წმინდა ზარალი		(11,996)	25,376
ფინანსური ხარჯები		12,544	12,132
ფინანსური შემოსავალი		(242)	(432)
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი		–	(311)
		79,908	67,948
საბრუნავ კაპიტალში შესული ცვლილებები			
ცვლილება სასაქონლო-მატერიალურ მარაგებში		(161)	(31)
ცვლილებები სავაჭრო მოთხოვნებში		(1,148)	118
ცვლილება გადახდილ ავანსებში		273	(318)
ცვლილება წინასწარ გადახდილ გადასახადებში		130	1
ცვლილება საგადასახადო კრედიტორულ დავალიანებაში		1,212	–
ცვლილებები სხვა კრედიტორულ დავალიანებაში		(103)	83
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან		80,111	67,801
გადახდილი პროცენტი		(8,768)	(15,368)
გადახდილი მოგების გადასახადი		(986)	–
დარიცხული საკომისიო		(440)	–
საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული წმინდა ფულადი ნაკადები		69,917	52,433
საინვესტიციო საქმიანობა			
ძირითად საშუალებებში გადახდილი თანხები		(1,085)	(258)
მიღებული პროცენტი		242	432
წმინდა ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან		(843)	174
ფინანსური საქმიანობა			
ანაბარზე შეზღუდული წვდომის ფულადი სახსრების განთავსება		(2,434)	(11,996)
პროცენტიანი სესხების დაფარვა	17	(27,776)	(23,833)
აქციონერისთვის სუბორდინირებული სესხის გადახდა	17	(11,207)	(12,905)
დივიდენდის გადახდა		(17,671)	–
იჯარის გადახდა	6	(106)	(121)
ფინანსურ საქმიანობაში გამოყენებული წმინდა ფულადი ნაკადები		(58,761)	(48,855)
ფულადი სახსრების და მათი ეკვივალენტების წმინდა ზრდა		9,880	3,752
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები პერიოდის დასაწყისში		15,357	11,998
წმინდა საკუროსო სხვაობა ფულად სახსრებსა და მათ ეკვივალენტებზე		(1,297)	(393)
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები პერიოდის ბოლოს	7	23,940	15,357

8-35 გვერდებზე წარმოდგენილი შენიშვნები წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია.

სს „დარიალი ენერჯი“

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2021 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

ათას ლარში

1. ინფორმაცია კომპანიის შესახებ

სს „დარიალი ენერჯი“ (შემდგომში „კომპანია“) არის საქართველოში დაფუძნებული და მოქმედი სააქციო საზოგადოება. კომპანიის იურიდიული მისამართია: საქართველო, ქ. თბილისი, ჩაჩავას ქ. 8.

კომპანიის ძირითადი საქმიანობაა ელექტროენერგიის წარმოება და რეალიზაცია. მისი ძირითადი საოპერაციო აქტივია საქართველოში, ყაზბეგის რაიონში მდებარე ჰიდროელექტროსადგური („დარიალი ჰესი“).

ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობა 2016 წლის ნოემბერში დასრულდა და კომპანიამ ელექტროენერგიის წარმოება და გაყიდვა 2016 წლის ბოლოს დაიწყო.

2020 წლის 27 აპრილს, შპს „ფერმა“ შეზღუდული პასუხისმგებლობის კომპანიას „TEPCO Renewable Power Singapore PTE“ მიყიდა 31,38%-ის ოდენობით წილი. 2021 წლისა და 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, კომპანიის აქციონერთა სტრუქტურა ასეთი იყო:

შპს „ენერგია“	44.27%
შპს „TEPCO Renewable power Singapore PTE“	31.38%
Lock W. Home Irrevocable Trust 2012 წლის დეკემბერი (შემდგომში „სატრასტო ფონდი“)	24.35%
	100.00%

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება ჯერ არ დამტკიცებულა აქციონერების მიერ. აქციონერთა კრება, ჩვეულებრივ, ტარდება საანგარიშგებო პერიოდის მომდევნო წლის პირველ ნახევარში. აქციონერებს შეუძლიათ ფინანსურ ანგარიშგებაში ცვლილებების შეტანა გამოშვების შემდეგ.

2. მომზადების საფუძველი

კომპანიის ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია საერთაშორისო ბუღალტრული სტანდარტების საბჭოს (IASB) მიერ გამოცემული ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (ფასს) შესაბამისად.

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია პირვანდელი ღირებულების საფუძველზე.

ფინანსურ ანგარიშგებაში ყველა თანხა წარმოდგენილია ლარში და დამრგვალებულია ათასამდე, თუ სხვა რამე არ არის მითითებული.

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)

ათას ლარში

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკების მიმოხილვა

(ა) უცხოური ვალუტა

კომპანიის სამუშაო ვალუტაა ლარი, რადგანაც ეს არის იმ ძირითადი ეკონომიკური გარემოს ვალუტა, რომელშიც კომპანია ეწევა საქმიანობას.

უცხოურ ვალუტაში შესრულებული ოპერაციების თავდაპირველ აღრიცხვას კომპანია წარმოებს ოპერაციის თარიღისთვის დადგენილი სამუშაო ვალუტის კურსის შესაბამისად.

უცხოურ ვალუტებში გამოხატული ფულადი აქტივები და ვალდებულებები გადაყვანილია საანგარიშგებო თარიღისთვის სამუშაო ვალუტის სპოტ გაცვლითი კურსის შესაბამისად.

ყველა სხვაობა შეტანილია სრული შემოსავლის ანგარიშგებაში.

არაფულადი მუხლების გადაანგარიშება, რომლებიც პირვანდელი ღირებულებით აღირიცხება უცხოურ ვალუტაში, ხდება თავდაპირველი ოპერაციის დღეს არსებული გაცვლითი კურსით.

(ბ) აქტივებისა და ვალდებულებების კლასიფიკაცია მიმდინარე და გრძელვადიანად

კომპანია აქტივებსა და ვალდებულებებს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში წარმოადგენს მათი მოკლევადიანად/გრძელვადიანად კლასიფიკაციის საფუძველზე. აქტივი მოკლევადიანია, როდესაც:

- ▶ მოსალოდნელია მისი რეალიზება ან გადაწყვეტილია მისი გაყიდვა ან მოხმარება ჩვეულებრივი საოპერაციო ციკლის განმავლობაში;
- ▶ მისი ფლობის ძირითადი მიზანია ვაჭრობა;
- ▶ მოსალოდნელია მისი რეალიზება ანგარიშგების პერიოდიდან თორმეტი თვის განმავლობაში, ან
- ▶ აქტივი წარმოადგენს ფულად სახსრებს და მათ ეკვივალენტებს, თუ არ არის შეზღუდული მისი გადაცვლა ან გამოყენება ვალდებულების დასაფარად ანგარიშგების პერიოდის შემდეგ მინიმუმ თორმეტი თვის განმავლობაში.

ყველა დანარჩენი აქტივი გრძელვადიანია.

ვალდებულება მიმდინარეა, როდესაც:

- ▶ მოსალოდნელია მისი დაფარვა ჩვეულებრივი საოპერაციო ციკლის განმავლობაში;
- ▶ მისი ფლობის ძირითადი მიზანია ვაჭრობა;
- ▶ ის დასაფარია ანგარიშგების პერიოდიდან თორმეტი თვის განმავლობაში; ან
- ▶ ანგარიშგების პერიოდის შემდეგ ვალდებულების დაფარვის მინიმუმ თორმეტი თვით გადავადების უპირობო უფლება არ არსებობს.

ყველა დანარჩენ ვალდებულებას კომპანია გრძელვადიანის კატეგორიას მიაკუთვნებს.

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)

ათას ლარში

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკების მიმოხილვა (გაგრძელება)

(გ) ფინანსური ინსტრუმენტები

ფინანსური ინსტრუმენტი არის ნებისმიერი ხელშეკრულება, რომელიც ერთი საწარმოსთვის წარმოშობს ფინანსურ აქტივს, ხოლო მეორესთვის – ფინანსურ ვალდებულებას ან წილობრივ ინსტრუმენტს.

(i) ფინანსური აქტივები

თავდაპირველი აღიარება და შემდგომი შეფასება

თავდაპირველი აღიარებისას ფინანსური აქტივები კლასიფიცირება ხდება როგორც შემდგომში შეფასებული ამორტიზებული ღირებულებით, სამართლიანი ღირებულებით სხვა სრულ შემოსავალში და სამართლიანი ღირებულებით მოგებაში ან ზარალში ასახვით. ხელმძღვანელობა განსაზღვრავს მისი ფინანსური აქტივების კლასიფიკაციას თავდაპირველი აღიარებისას და განმეორებით აფასებს მას.

ფინანსური აქტივების ისეთი ყიდვა–გაყიდვა, როდესაც საჭიროა აქტივების ჩაბარება ნორმატიული აქტებით ან ბაზარზე დამკვიდრებული პრაქტიკით (გარიგების სტანდარტული პროცედურა) გათვალისწინებულ ვადაში აღირიცხება გარიგების თარიღით, ანუ იმ თარიღით, როდესაც კომპანია იღებს აქტივის შესყიდვის ან გაყიდვის ვალდებულებას.

შემდგომი შეფასების მიზნებისთვის ფინანსური აქტივები ოთხ კატეგორიად იყოფა:

- ▶ ფინანსური აქტივები ამორტიზებული ღირებულებით;
- ▶ სხვა სრულ შემოსავალში ასახვით სამართლიანი ღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივები კუმულაციური (დაგროვებითი) შემოსულობისა და ზარალის ხელახალი კლასიფიკაციით (სასესხო ინსტრუმენტები);
- ▶ სამართლიანი ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივები სხვა სრულ შემოსავალში ასახვით, აღიარების შეწყვეტისას, კუმულაციური (დაგროვებითი) შემოსულობისა და ზარალის ხელახალი კლასიფიკაციის გარეშე;
- ▶ მოგებასა და ზარალში ასახული და სამართლიანი ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივები.

ფინანსური აქტივები ამორტიზებული ღირებულებით

კომპანია ფინანსურ აქტივებს ამორტიზებული ღირებულებით აფასებს, თუ დაკმაყოფილებულია ქვემოთ მოცემული ორივე პირობა:

- ▶ ფინანსური აქტივი ამ ბიზნესმოდელის მიხედვით მფლობელობაშია სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების ამოღების მიზნით; და
- ▶ ფინანსური აქტივის სახელშეკრულებო პირობები კონკრეტული თარიღებით წარმოქმნის ფულად ნაკადებს, რომლებიც წარმოადგენს მხოლოდ ძირითადი თანხისა და პროცენტის გადახდებს დაუფარავ ძირითად თანხაზე.

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)

ათას ლარში

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკების მიმოხილვა (გაგრძელება)

(გ) ფინანსური ინსტრუმენტები (გაგრძელება)

ამორტიზებული ღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივები შემდეგ ფასდება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით და ექვემდებარება გაუფასურებას. შემოსულობისა და ზარალის აღიარება ხდება მოგება-ზარალში მაშინ, როდესაც წყდება აქტივის აღიარება, ან ხდება აქტივის მოდიფიცირება ან გაუფასურება.

ყველა ის ფინანსური აქტივი, რომელსაც კომპანია ფლობს 2021 წლისა და 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, კლასიფიცირდება ამორტიზებული ღირებულებით შეფასებულად და შემოიფარგლება ფულადი სახსრებით და მათი ეკვივალენტებით და სავაჭრო მოთხოვნებით.

კომპანიამ მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის რეზერვი უნდა აღრიცხოს თავის ყველა სავალსე ფინანსურ აქტივზე ამორტიზებული ღირებულებით. კომპანია იყენებს მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის გამოთვლის გამარტივებულ მეთოდს. შესაბამისად, კომპანია, ნაცვლად საკრედიტო რისკების ცვლილებების აღრიცხვისა, აღიარებს ზარალის რეზერვს მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის ვადაზე თითოეული საანგარიშგებო თარიღისთვის. კომპანია ფინანსურ აქტივს ვადაგადაცილებულად მიიჩნევს, როდესაც სახელშეკრულებო გადახდები ვადაგადაცილებულია. თუმცა, გარკვეულ შემთხვევებში, კომპანიამ შეიძლება ფინანსური აქტივი ვადაგადაცილებულად მაშინაც მიიჩნიოს, როდესაც შიდა ან გარე ინფორმაცია მიანიშნებს იმაზე, რომ სავარაუდოდ კომპანია სრულად ვერ მიიღებს დაუფარავ სახელშეკრულებო თანხებს, კომპანიის მფლობელობაში არსებული საკრედიტო რისკის შემცირების საშუალებების გათვალისწინების გარეშე. ფინანსური აქტივი ჩამოიწერება მაშინ, როდესაც არ არსებობს გონივრული მოლოდინი იმისა, რომ სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების ამოღება მოხდება.

აღიარების შეწყვეტა

ფინანსური აქტივის (ან, სადაც მისაღებია, ფინანსური აქტივის ნაწილის ან ანალოგიური ფინანსური აქტივების ჯგუფის ნაწილის) აღიარების შეწყვეტა (ანუ კომპანიის ფინანსური მდგომარეობის ანგარიშიდან ამოღება) ხდება შემდეგ შემთხვევებში:

- ▶ ამოიწურა აქტივიდან ფულადი ნაკადების მიღების ვადა, ან
- ▶ კომპანიამ დათმო აქტივიდან ფულადი ნაკადების მიღების უფლება, ან დაიტოვა ამგვარი უფლება, მაგრამ აიღო მესამე პირებისათვის მიღებული თანხების სრულად და დაგვიანების გარეშე გადახდის სახელშეკრულებო ვალდებულება; ან (ა) კომპანიამ გადასცა აქტივთან დაკავშირებული ყველა რისკი და სარგებელი; (ბ) კომპანიამ არც გადასცა და არც დაიტოვა აქტივთან დაკავშირებული არსებითად ყველა რისკი და სარგებელი, მაგრამ გადასცა აქტივზე კონტროლი.

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)

ათას ლარში

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკების მიმოხილვა (გაგრძელება)

(გ) ფინანსური ინსტრუმენტები (გაგრძელება)

თუ კომპანიამ გადასცა აქტივიდან ფულადი ნაკადების მიღების უფლება ან გააფორმა ამაზე ხელშეკრულება, იგი აფასებს, შეინარჩუნა თუ არა ან რამდენად შეინარჩუნა ამ აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებული რისკები და სარგებელი. როდესაც კომპანიას არც გადაუცია და არც შეუნარჩუნებია აქტივთან დაკავშირებული არსებითად ყველა რისკი და სარგებელი, და არც აქტივზე კონტროლი აქვს გადაცემული, კომპანია აგრძელებს გადაცემული აქტივის აღიარებას იმდენად, რამდენადაც კომპანია მასში იქნება ჩართული. ასეთ შემთხვევაში კომპანია მასთან დაკავშირებულ ვალდებულებასაც აღიარებს. გადმოცემული აქტივი და მასთან დაკავშირებული ვალდებულება ფასდება კომპანიის მიერ შენარჩუნებული უფლება-მოვალეობების საფუძველზე.

(ii) ფინანსური ვალდებულებები

თავდაპირველი აღიარება და შეფასება

თავდაპირველი შეფასებისას ფინანსური ვალდებულებები ნაწილდება შემდეგ კატეგორიებში: სამართლიანი ღირებულებით შეფასებული და მოგება-ზარალში ასახული ფინანსური ვალდებულებები, სესხები და ნასესხები სახსრები, კრედიტორული დავალიანებები ან წარმოებული ვალდებულებები, რომლებიც განისაზღვრება ჰეჯირების ინსტრუმენტებად ეფექტური ჰეჯირების განხორციელების დროს.

ყველა ფინანსური ვალდებულების აღიარება თავდაპირველად ხდება სამართლიანი ღირებულებით და, ნასესხები სახსრების და კრედიტორული დავალიანებების შემთხვევაში, აკლდება მათთან უშუალოდ დაკავშირებული გარიგების დანახარჯები. კომპანიის ყველა ფინანსური ვალდებულება 2021 წლისა და 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, მიეკუთვნება სესხებისა და გადასახდელი ანგარიშების კატეგორიას და მოიცავს პროცენტთან სესხებს, სუბორდინირებული სესხის და სხვა კრედიტორულ დავალიანებას.

თავდაპირველი აღიარების შემდეგ, პროცენტიანი სესხების შემდგომი შეფასება ხდება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით. შემოსულობის და ზარალის აღიარება ხდება მოგებაში ან ზარალში ვალდებულების აღიარების შეწყვეტის შემთხვევაში, აგრეთვე ამორტიზაციის პროცესში ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით.

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)

ათას ლარში

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკების მიმოხილვა (გაგრძელება)

(გ) ფინანსური ინსტრუმენტები (გაგრძელება)

ამორტიზებული ღირებულება გამოანგარიშებულია ნებისმიერი დისკონტის ან შესყიდვის პრემიის, აგრეთვე საზღაურების თუ ხარჯების გათვალისწინებით, რომლებიც ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის განუყოფელი ნაწილია. ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით დარიცხული ამორტიზაცია აისახება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში ფინანსური ხარჯების სახით.

აღიარების შეწყვეტა

ფინანსური ვალდებულებების აღიარება წყდება მაშინ, როდესაც ისინი იფარება, ბათილდება ან ამოიწურება. როდესაც არსებულ ფინანსურ ვალდებულებას ჩაანაცვლებს მეორე ფინანსური ვალდებულება იმავე კრედიტორის მიმართ მნიშვნელოვნად შეცვლილი პირობებით, ან თუ მიმდინარე ვალდებულების პირობები მნიშვნელოვნად იცვლება, ამგვარი ჩაანაცვლება ან ცვლილება აღირიცხება, როგორც თავდაპირველი ვალდებულების აღიარების გაუქმება და ახალი ვალდებულების აღიარება. შესაბამის საბალანსო ღირებულებებს შორის განსხვავება აისახება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

(iii) ფინანსური ინსტრუმენტების ურთიერთგადაფარვა

ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების ურთიერთგადაფარვა მოხდება და წმინდა თანხა აისახება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში, თუ არსებობს აღიარებული თანხების ურთიერთგადაფარვის იურიდიული უფლება და ურთიერთგაქვითვის ან ერთდროულად აქტივის რეალიზაციის და ვალდებულების დაფარვის სურვილი.

(დ) ძირითადი საშუალებები

(i) აღიარება და შეფასება

ძირითადი საშუალებები მთლიანად აღრიცხულია პირვანდელი ღირებულებით, საიდანაც გამოკლებულია აკუმულირებული ცვეთა და გაუფასურების შედეგად მიღებული აკუმულირებული ზარალი, ასეთის არსებობის შემთხვევაში. პირვანდელი ღირებულება მოიცავს შესყიდვებთან პირდაპირ მიკუთვნებად დანახარჯებს. კომპანიის მიერ აგებული აქტივების თვითღირებულება მოიცავს მასალისა და შრომის პირდაპირ დანახარჯებს და ყველა სხვა ხარჯს, რომლებიც უშუალოდ უკავშირდება აქტივის დანიშნულებისამებრ გამოყენებისთვის შესაბამის მდგომარეობაში მოსაყვანად, დემონტაჟის და მოხსნის ხარჯებს, ასევე იმ ტერიტორიის რეაბილიტაციის ხარჯებს, რომლებზეც ეს აქტივები მდებარეობს. კომპანიის აქციების სანაცვლოდ აქციონერების მიერ კაპიტალში შეტანილი აქტივების თვითღირებულება ფასდება ამ აქტივების სამართლიანი ღირებულებით, თუ ამ სამართლიანი ღირებულების სარწმუნოდ შეფასება შეუძლებელია. თუ კომპანიას არ შეუძლია მიღებული არაფულადი აქტივების სამართლიანი ღირებულების სარწმუნოდ შეფასება, მან უნდა შეაფასოს მათი ღირებულება და შესაბამისი ზრდა კაპიტალში არაპირდაპირ, გამოყოფილი წილობრივი ინსტრუმენტების სამართლიანი ღირებულების მიხედვით.

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)

ათას ლარში

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკების მიმოხილვა (გაგრძელება)

(დ) ძირითადი საშუალებები (გაგრძელება)

თუ ძირითადი საშუალებების ერთეულებს სხვადასხვა სასარგებლო გამოყენების ვადა აქვთ, ისინი აღირიცხება ძირითადი საშუალებების ცალკე ერთეულებად (ძირითად კომპონენტებად). თავდაპირველად აღიარებული ამა თუ იმ ძირითადი საშუალებისა და მისი ნებისმიერი მნიშვნელოვანი ნაწილის აღიარება წყდება მისი გასხვისების დროს ან მაშინ, როდესაც მისი ექსპლუატაციიდან ან გასხვისებიდან სამომავლო ეკონომიკური სარგებლის მიღება აღარ არის მოსალოდნელი.

(ii) შემდგომი დანახარჯები

ძირითადი საშუალების ნაწილის შეცვლის ხარჯის აღიარება ხდება ამ ძირითადი საშუალების საბალანსო ღირებულებაში თუ მოსალოდნელია, რომ კომპანია მიიღებს ამ ნაწილის თანმდევ სამომავლო ეკონომიკურ სარგებელს და თუ მისი ხარჯის სარწმუნოდ შეფასება შეიძლება. შეცვლილი ნაწილის საბალანსო ღირებულების აღიარება წყდება. ძირითადი საშუალებების ტექნიკური მომსახურების ყოველდღიური ხარჯის აღიარება ხდება მისი დადგომისთანავე სრული შემოსავლის ანგარიშგებაში.

(iii) ცვეთა

ცვეთის აღიარება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში ხდება ძირითადი საშუალებების თითოეული ნაწილის სასარგებლო გამოყენების სავარაუდო ვადაზე ცვეთის დარიცხვის წრფივი მეთოდით, რადგანაც ეს ყველაზე ზუსტად ასახავს აქტივიდან მიღებული სამომავლო ეკონომიკური სარგებლის მოსალოდნელ ათვისებას.

ცალკეული აქტივის მნიშვნელოვანი კომპონენტები ფასდება და თუ ამ კომპონენტს აქტივის დანარჩენი ნაწილისგან განსხვავებული სასარგებლო გამოყენების ვადა აქვს, მისი ცვეთა განსხვავებულად ხორციელდება. მიწას ცვეთა არ ერიცხება.

მიმდინარე და შესადარისი პერიოდებისთვის სასარგებლო გამოყენების სავარაუდო ვადებია:

მანქანა-დანადგარები	5-55 წელი
სატრანსპორტო საშუალებები	3-5 წელი
საოფისე აღჭურვილობა	5-7 წელი

ცვეთის დარიცხვის მეთოდები, სასარგებლო გამოყენების ვადები და ნარჩენი ღირებულებები გადაისინჯება ყოველი ფინანსური წლის ბოლოს და, საჭიროების შემთხვევაში, შესაბამისად კორექტირდება.

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)

ათას ლარში

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკების მიმოხილვა (გაგრძელება)

(ე) სამართლიანი ღირებულების განსაზღვრა

კომპანია ფინანსურ ინსტრუმენტებს სამართლიანი ღირებულებით აფასებს თითოეული საბალანსო ანგარიშის შედგენის თარიღისთვის.

სამართლიანი ღირებულება არის თანხა, რომელიც მიიღება აქტივის გაყიდვის შედეგად, ან გადაიხდება ვალდებულების გადაცემის შედეგად, ბაზრის მონაწილეებს შორის ჩვეულებრივი გარიგების პირობებში შეფასების თარიღისთვის. სამართლიანი ღირებულებით შეფასება ეყრდნობა იმ ვარაუდს, რომ ადგილი აქვს აქტივის გაყიდვის ან ვალდებულების გადაცემის გარიგებას:

- ▶ აქტივის ან ვალდებულების მთავარ ბაზარზე, ან
- ▶ მთავარი ბაზრის არარსებობის შემთხვევაში, აქტივის ან ვალდებულებისთვის ყველაზე ხელსაყრელ ბაზარზე.

მთავარი ან ყველაზე ხელსაყრელი ბაზარი კომპანიისთვის ხელმისაწვდომი უნდა იყოს.

აქტივის ან ვალდებულების სამართლიანი ღირებულების განსაზღვრა ხორციელდება იმ დაშვების საფუძველზე, რომ ბაზრის მონაწილეები აქტივის ან ვალდებულების შეფასებისას იმოქმედებენ საკუთარი ეკონომიკური ინტერესების მაქსიმალური გათვალისწინებით.

არაფინანსური აქტივის სამართლიანი ღირებულების შეფასება უნდა ითვალისწინებდეს ბაზრის მონაწილის შესაძლებლობას მიიღოს ეკონომიკური სარგებელი ამ აქტივის საუკეთესოდ და ეფექტიანად გამოყენებით, ან მისი მიყიდვით ბაზრის სხვა მონაწილისათვის, რომელიც ამ აქტივს საუკეთესოდ და ეფექტიანად გამოიყენებს.

კომპანია ირჩევს შეფასების მეთოდებს, რომლებიც შესაფერისია არსებული გარემოებებისთვის და რომელთა გამოყენებითაც სამართლიანი ღირებულების შესაფასებლად საკმარისი მონაცემები მოიძებნება, რომლებიც მაქსიმალურად იყენებენ საბაზრო – და მინიმალურად – არასაბაზრო მონაცემებს.

სამართლიანი ღირებულებით შეფასებული ან ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული ყველა აქტივი და ვალდებულება ნაწილდება ქვემოთ წარმოდგენილი სამართლიანი ღირებულების იერარქიის მიხედვით, რაც ეყრდნობა იმ ყველაზე დაბალი დონის ამოსავალ მონაცემს, რომელიც მნიშვნელოვანია მთლიანად სამართლიანი ღირებულების შესაფასებლად:

- ▶ დონე 1 – იდენტური აქტივების ან ვალდებულების კოტირებული (არაკორექტირებული) საბაზრო ფასები აქტიურ ბაზრებზე;
- ▶ დონე 2 – ღირებულების შეფასების მეთოდები, რომელთა მიხედვითაც შესაძლებელია სამართლიანი ღირებულების შეფასებისთვის აუცილებელი ყველაზე დაბალი დონის მონაცემის პირდაპირი ან არაპირდაპირი განსაზღვრა;
- ▶ დონე 3 – ღირებულების შეფასების მეთოდები, რომელთა მიხედვითაც შეუძლებელია სამართლიანი ღირებულების შეფასებისთვის აუცილებელი ყველაზე დაბალი დონის მონაცემის განსაზღვრა.

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)

ათას ლარში

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკების მიმოხილვა (გაგრძელება)

(ე) სამართლიანი ღირებულების განსაზღვრა (გაგრძელება)

კომპანია განსაზღვრავს ფინანსურ ანგარიშგებაში რეგულარულად აღიარებული აქტივებისა და ვალდებულებების ერთი იერარქიიდან მეორეში გადასვლის ფაქტს კატეგორიზაციის განმეორებითი შეფასებით (მთლიანი სამართლიანი ღირებულების შეფასებისთვის აუცილებელი ყველაზე დაბალი დონის ამოსავალი მონაცემის საფუძველზე) ანგარიშგების ყოველი პერიოდის ბოლოსთვის.

სამართლიანი ღირებულების შესახებ განმარტებითი შენიშვნების მიზნებისთვის, კომპანიამ აქტივების და ვალდებულებების კლასი განსაზღვრა აქტივის ან ვალდებულების ხასიათის, თვისებებისა და რისკების ან, ზემოაღნიშნული განმარტების შესაბამისად, სამართლიანი ღირებულების იერარქიის დონის მიხედვით.

(ვ) იჯარა

ხელშეკრულების გაფორმებისას კომპანია აფასებს ხელშეკრულება წარმოადგენს ან მოიცავს თუ არა იჯარას. ეს იმას ნიშნავს, გადასცემს თუ არა ხელშეკრულება იდენტიფიცირებული აქტივების სარგებლობის კონტროლის უფლებას დროის კონკრეტულ მომენტში, ანაზღაურების სანაცვლოდ.

კომპანია, როგორც მოიჯარე

კომპანია იყენებს ერთი აღიარების და შეფასების მიდგომას ყველა იჯარისთვის, გარდა მოკლევადიანი და დაბალი ღირებულების მქონე აქტივების იჯარებისა. კომპანია საიჯარო ვალდებულებებს აღიარებს საიჯარო გადახდების და გამოყენების უფლებით გადაცემული აქტივებისთვის, რაც საბაზისო აქტივების გამოყენების უფლებას წარმოადგენს.

გამოყენების უფლებით გადაცემული აქტივები

კომპანია აღიარებს გამოყენების უფლებით გადაცემულ აქტივებს იჯარის დაწყების თარიღში (ე.ი. თარიღში, როცა საბაზისო აქტივი ხელმისაწვდომი იქნება გამოსაყენებლად). გამოყენების უფლებით გადაცემული აქტივები თვითღირებულებით ფასდება, რასაც აკლდება ნებისმიერი დაგროვილი ცვეთა და გაუფასურების ზარალი და იცვლება საიჯარო ვალდებულებების ნებისმიერი გადაფასების მიხედვით. გამოყენების უფლებით გადაცემული აქტივების თვითღირებულება მოიცავს აღიარებული საიჯარო ვალდებულებების, თავდაპირველად გაწეული პირდაპირი ხარჯების და დაწყების თარიღში ან ამ თარიღამდე განხორციელებული საიჯარო გადასახდელების თანხას, ნებისმიერი მიღებული საიჯარო ინიციატივების გამოკლებით. გამოყენების უფლებით გადაცემული აქტივებს ცვეთა ერიცხება ცვეთის დარიცხვის წრფივი მეთოდის გამოყენებით, საიჯარო ვადასა და აქტივების შეფასებული სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში.

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)

ათას ლარში

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკების მიმოხილვა (გაგრძელება)

(ვ) იჯარა (გაგრძელება)

საიჯარო ვალდებულებები

იჯარის დაწყების თარიღში, კომპანია აღიარებს საიჯარო ვალდებულებებს, რომლებიც იჯარის ვადის განმავლობაში საიჯარო გადასახდელების მიმდინარე ღირებულებით ფასდება. საიჯარო გადასახდელები მოიცავს ფიქსირებულ თანხებს (მათ შორის არსებით ფიქსირებულ გადახდებს), რასაც აკლდება ნებისმიერი საიჯარო შეღავათების დებიტორული დავალიანება, ცვლადი საიჯარო გადახდები, რომლებიც განაკვეთზე ან კოეფიციენტზეა დამოკიდებული და თანხები, რომელთა გადახდაც მოსალოდნელია ნარჩენი ღირებულების გარანტიების საფუძველზე. საიჯარო გადასახდელები ასევე მოიცავს შესყიდვის უფლებით სარგებლობის ღირებულებას, რომელიც გონივრულ ფარგლებში მიიჩნევა კომპანიის მიერ გამოყენებულად და ჯარიმების გადახდებს იჯარის შეწყვეტისთვის, თუ იჯარის ვადა ასახავს კომპანიას, რომელიც იყენებს ხელშეკრულების შეწყვეტის უფლებას.

საიჯარო გადასახდელების მიმდინარე ღირებულების დაანგარიშებისას, კომპანია იყენებს ზღვრულ სასესხო საპროცენტო განაკვეთს იჯარის დაწყების თარიღში, რადგან იჯარაში გათვალისწინებული პროცენტი მარტივად ვერ განისაზღვრება. დაწყების თარიღის შემდეგ, საიჯარო ვალდებულებების თანხა გაიზრდება, პროცენტის გაზრდის ასახვის მიზნით, და შემცირდება – განხორციელებული საიჯარო გადასახდელებისთვის. ამასთან, საიჯარო ვალდებულებების საბალანსო ღირებულება გადაითვლება იმ შემთხვევაში, თუ ადგილი ექნება საიჯარო გადახდების ცვლილებას (მაგ. ცვლილება მომავალ გადახდებში, რომელიც წარმოიშობა ამგვარი საიჯარო გადახდების განსაზღვრისთვის გამოყენებული ინდექსის ან განაკვეთის ცვლილებიდან) ან საბაზისო აქტივის ნასყიდობის შეფასების შესაძლებლობის ცვლილებას.

(ზ) სასაქონლო-მატერიალური მარაგები

სასაქონლო-მატერიალური მარაგები ფასდება თვითღირებულებასა და წმინდა სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით. სასაქონლო-მატერიალური მარაგის თვითღირებულება ეყრდნობა საშუალო შეწონილი ღირებულების პრინციპს და მოიცავს მარაგების შეძენის ხარჯებს, ასევე წარმოების ხარჯს, წარმოების თვითღირებულებას და სხვა ხარჯებს, რომელთა გაწევაც გახდა საჭირო მარაგების არსებულ მდებარეობამდე და მდგომარეობამდე მისაყვანად.

წმინდა სარეალიზაციო ღირებულება არის სავარაუდო გასაყიდი ფასი ჩვეულებრივი საქმიანობის პირობებში, რომელსაც აკლდება დასრულების და რეალიზაციის ხარჯი.

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)

ათას ლარში

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკების მიმოხილვა (გაგრძელება)

(თ) არაფინანსური აქტივების გაუფასურება

კომპანიის არაფინანსური აქტივების საბალანსო ღირებულება ანგარიშგების ყოველი თარიღით ფასდება, გაუფასურების ნიშნების აღმოჩენის მიზნით. ასეთი ნიშნების აღმოჩენის შემთხვევაში, განისაზღვრება აქტივის ანაზღაურებადი ღირებულება. გაუფასურების ზარალის აღიარება ხდება მაშინ, თუ აქტივის ან მასთან დაკავშირებული ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის საბალანსო ღირებულება აჭარბებს მის სავარაუდო აღდგენით ღირებულებას.

აქტივების ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის აღდგენითი ღირებულება არის გამოყენების ღირებულებასა და გაყიდვის ხარჯით შემცირებულ სამართლიან ღირებულებას შორის უდიდესი. გამოყენების ღირებულების შესაფასებლად სავარაუდო მომავალი ფულადი ნაკადების დღევანდელ ღირებულებამდე დისკონტირება ხდება დაბეგვრამდელი დისკონტირების განაკვეთის გამოყენებით, რომელიც ასახავს ფულის დროითი ღირებულების არსებულ საბაზრო შეფასებებს და ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის აქტივისთვის დამახასიათებელ რისკებს. გაუფასურებაზე შემოწმების მიზნით აქტივები, რომლებიც ინდივიდუალურად არ მოწმდება, ჯგუფდება უმცირეს ჯგუფებად, რომლებიც სხვა აქტივებისგან, აქტივების ჯგუფისგან ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულისგან დამოუკიდებლად წარმოქმნის ფულად ნაკადებს უწყვეტი გამოყენების პირობებში.

გაყიდვების ხარჯით შემცირებული სამართლიანი ღირებულების გამოთვლა ხდება ბოლოდროინდელი საბაზრო გარიგებების (ასეთის არსებობის შემთხვევაში) გათვალისწინებით. თუ ასეთი გარიგებების განსაზღვრა ვერ ხერხდება, გამოიყენება შეფასების სხვა შესაფერისი მეთოდი.

ფულადი სახსრების წარმომქმნელ ერთეულებთან დაკავშირებული გაუფასურების ზარალი პროპორციულად გადანაწილდება ამ ფულადი სახსრების წარმომქმნელ ერთეულში არსებული აქტივების საბალანსო ღირებულებაზე. გაუფასურებით გამოწვეული ზარალი სრული შემოსავლის ანგარიშგებაში აისახება. ანგარიშგების ყოველი თარიღისთვის ფასდება არსებობს თუ არა იმის ნიშნები, რომ გაუფასურებით გამოწვეული უკვე აღიარებული ზარალი შეიძლება აღარ არსებობდეს ან შემცირებული იყოს. ასეთი ნიშნის არსებობის შემთხვევაში კომპანია აფასებს აქტივის ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის აღდგენით ღირებულებას. გაუფასურების შედეგად განცდილი უკვე აღიარებული ზარალის შებრუნება მხოლოდ მაშინ არის შესაძლებელი, თუ გაუფასურებით გამოწვეული ზარალის ბოლო აღიარების შემდეგ აქტივის ანაზღაურებადი ღირებულების განმსაზღვრელ დაშვებებში გარკვეული ცვლილებებია მომხდარი. აღდგენის შედეგად აქტივის საბალანსო ღირებულებამ არ უნდა გადააჭარბოს მის აღდგენით ღირებულებას და ასევე არ უნდა გადააჭარბოს იმ საბალანსო ღირებულებას, რომელიც მას ექნებოდა, წინა წლებში აქტივის გაუფასურებით გამოწვეული ზარალი რომ არ ყოფილიყო აღიარებული. ასეთი აღდგენა აღირიცხება გაუფასურების შებრუნების სახით, თუ აქტივი არ არის აღრიცხული გადაფასებული ღირებულებით. ამ შემთხვევაში შებრუნება აღირიცხება, როგორც გადაფასებული ღირებულების ზრდა.

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)

ათას ლარში

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკების მიმოხილვა (გაგრძელება)

(ი) გადასახადები

(i) მიმდინარე მოგების გადასახადი

საწარმოების მიერ მიღებული წლიური მოგება, გარდა ბანკებისა, სადაზღვევო კომპანიებისა და მიკროსაფინანსო ორგანიზაციებისა, 2017 წლის 1 იანვრიდან არ იბეგრება საქართველოში. მოგების გადასახადით დაიბეგრება დივიდენდების სახით იმ აქციონერებზე განაწილებული მოგება, რომლებიც არიან ფიზიკური პირები ან არარეზიდენტები საქართველოში, რომელიც დაანგარიშდება განაწილებული წმინდა თანხიდან 15/85 განაკვეთის გამოყენებით. დივიდენდების გადახდიდან წარმოქმნილი მოგების გადასახადი აღირიცხება ვალდებულების და ხარჯის სახით, იმ პერიოდში, როდესაც ხდება დივიდენდების გამოცხადება, მიუხედავად გადახდის ფაქტიური თარიღისა ან იმ პერიოდისა, როდესაც დივიდენდები გადაიხდება. გარკვეულ შემთხვევებში დასაშვებია დარიცხული საგადასახადო კრედიტორული დავალიანებიდან გამოქვითვები, რომლებიც აღირიცხება, როგორც შესაბამის განაწილებასთან დაკავშირებული მოგების გადასახადის ხარჯის შემცირება. საქართველოს საგადასახადო სისტემის თავისებურებიდან გამომდინარე, საქართველოში რეგისტრირებულ საწარმოებს არ წარმოეშვებათ გადავადებული საგადასახადო აქტივები და ვალდებულებები. კომპანიის აქციონერებზე დივიდენდის განაწილებასთან დაკავშირებით დაკავებული საგადასახადო კრედიტორული დავალიანება კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებაში აღიარებულია კაპიტალიდან გამოქვითვის სახით.

საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობა ასევე ითვალისწინებს მოგების გადასახადით გარკვეული ოპერაციების დაბეგრას, რომლებიც შეიძლება ჩაითვალოს მოგების განაწილებად (მაგალითად, არასაბაზრო ფასებით აღრიცხული გარიგებები, ბიზნესსაქმიანობასთან დაუკავშირებელი ხარჯები, ან საქონლისა და მომსახურების უსასყიდლო მიწოდება). ამგვარი გარიგებების დაბეგვრა აღირიცხება საოპერაციო გადასახადების ანალოგიურად და აღირიცხება, როგორც სხვა გადასახადები მოგება-ზარალის ანგარიშგების სხვა საოპერაციო ხარჯებში.

(ii) დამატებული ღირებულების გადასახადი

შემოსავლების, ხარჯებისა და აქტივების აღიარება ხდება დამატებული ღირებულების გადასახადის თანხის გამოკლებით, გარდა იმ შემთხვევებისა:

- ▶ როდესაც აქტივების ან მომსახურების შესყიდვაზე დარიცხული დამატებული ღირებულების გადასახადი არ ექვემდებარება საგადასახადო ორგანოსგან დაბრუნებას, ასეთ შემთხვევაში, დამატებული ღირებულების გადასახადის აღიარება ხდება აქტივის შესყიდვის ღირებულების ნაწილად ან ხარჯების მუხლში, კონკრეტული შემთხვევიდან გამომდინარე;
- ▶ დებიტორული და კრედიტორული დავალიანებისა, რომელიც მოიცავს დამატებული ღირებულების გადასახადს.

საგადასახადო ორგანოებისთვის გადასახადელი ან მათგან დასაბრუნებელი დამატებული ღირებულების გადასახადის წმინდა ოდენობა ასახულია ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგების დღე აქტივის (ანაზღაურებადი დღე) ან ვალდებულების ნაწილში.

სს „დარიალი ენერჯი“

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)

ათას ლარში

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკების მიმოხილვა (გაგრძელება)

(კ) ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში წარმოდგენილი ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები შედგება ბანკებში პროცენტთან მიმდინარე ანგარიშებს.

(ლ) ანარიცხები

ანარიცხების აღიარება ხდება მაშინ, როდესაც კომპანიას წარსული მოვლენების გამო აქვს მიმდინარე (იურიდიული ან კონსტრუქციული) ვალდებულება და მოსალოდნელია ეკონომიკური სარგებლის მქონე რესურსების გადინება ვალდებულების დასაფარად, ასევე, შესაძლებელია ვალდებულების თანხის სარწმუნოდ განსაზღვრა. ნებისმიერ ანარიცხებთან დაკავშირებული ხარჯი წარმოდგენილია სრული შემოსავლის ანგარიშგებაში ყოველგვარი ანაზღაურების გარეშე.

თუ ფულის დროითი ღირებულების გავლენა მნიშვნელოვანია, ანარიცხების დისკონტირება ხდება მიმდინარე დაბეგვრამდელი განაკვეთით, რომელიც საჭიროების შემთხვევაში ასახავს ამ ვალდებულებისთვის დამახასიათებელ რისკებს. დისკონტირების გამოყენების შემთხვევაში, ანარიცხების ზრდა დროის გასვლის გამო აღიარებულია ფინანსური ხარჯების ნაწილში.

(მ) ოპერაციები წილობრივი ინსტრუმენტებით ანგარიშსწორებით

მიღებული არაფულადი აქტივები და შესაბამისი ზრდა კაპიტალში ფასდება ამ აქტივების სამართლიანი ღირებულებით, თუ ამ სამართლიანი ღირებულების წინასწარ სარწმუნოდ შეფასება შეუძლებელია. თუ მიღებული არაფულადი აქტივების სამართლიანი ღირებულების სარწმუნოდ შეფასება შეუძლებელია, ამ აქტივების ღირებულება და შესაბამისი ზრდა კაპიტალში ფასდება გამოყოფილი წილობრივი ინსტრუმენტების სამართლიანი ღირებულების მიხედვით.

(ნ) ამონაგები მომხმარებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან

კომპანია ელექტროენერგიის წარმოების სფეროში საქმიანობს. გამომუშავებული ელექტროენერგია იყიდება სს „ელექტროსისტემის კომერციულ ოპერატორზე“. ელექტროენერგია იყიდება ცალკეული ხელშეკრულების ფარგლებში და ელექტროენერგიის რეალიზაცია ერთადერთ შესასრულებელი ვალდებულებას წარმოადგენს. შესასრულებელი ვალდებულება დაკმაყოფილებულია და შემოსავლის აღიარება ისეთ დროს მოხდება, როდესაც აქტივზე კონტროლი გადაეცემა მომხმარებელს, რაც აქტივის ჩაბარების მომენტში ხდება.

შემოსავლების ასახვა ხორციელდება იმ შემთხვევაში, როდესაც კომპანიაში ეკონომიკური სარგებლის შემოდინების ალბათობა მაღალია. ამასთან, შესაძლებელია შემოსავლების სარწმუნოდ შეფასება მიუხედავად იმისა, თუ როდის განხორციელდება გადახდა. შემოსავლების შეფასება ხდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების სამართლიანი ღირებულებით, გადახდის ხელშეკრულებით განსაზღვრული ვადების გათვალისწინებით და გადასახადებისა და მოსაკრებლების გამოკლებით.

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)

ათას ლარში

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკების მიმოხილვა (გაგრძელება)

(ნ) ამონაგები მომხმარებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან (გაგრძელება)

ელექტროენერგიის გაყიდვიდან მიღებული შემოსავალი გამოითვლება ყოველთვიურად მომხმარებლებისთვის მიყიდული ელექტროენერგიის ოდენობის საფუძველზე, რომელიც განისაზღვრება საქართველოს მაღალი ძაბვის ელექტროქსელის ოპერატორის – საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემის მიერ გაცემული ელექტროენერგიის მიღება-ჩაბარების აქტით.

(ო) სტანდარტები, რომლებიც გამოიცა, მაგრამ ჯერ ძალაში არ შესულა

სტანდარტები და ინტერპრეტაციები, რომლებიც გამოიცა, მაგრამ კომპანიის ფინანსური ანგარიშგების გამოშვების თარიღის მდგომარეობით ჯერ ძალაში არ შესულა, შემოიფარგლება ბასს (IAS) 1-ის („ვალდებულებების მოკლე და გრძელვადიანად კლასიფიცირება“) და ბასს (IAS) 8-ის („ძირითადი საშუალებები: შემოსავალი დანიშნულებისამებრ გამოყენებამდე“) ცვლილებებით.

ბასს (IAS) 1-ის ცვლილება „ვალდებულებების მოკლე და გრძელვადიანად კლასიფიცირება“

2020 წლის იანვარში ბასს-მა გამოცა ბასს (IAS) 1-ის 69-დან 76-მდე პუნქტების ცვლილება – მოკლე და გრძელვადიანი ვალდებულებების კლასიფიცირების მოთხოვნების განსაზღვრად. ცვლილებები განმარტავს:

- ▶ რას გულისხმობს ანგარიშსწორების დაფარვის უფლება;
- ▶ რომ გადავადების უფლება უნდა არსებობდეს საანგარიშგებო პერიოდის ბოლოსთვის;
- ▶ ამ კლასიფიკაციაზე არ მოქმედებს შესაძლებლობა იმისა, რომ საწარმო ისარგებლებს გადავადების უფლებით;
- ▶ რომ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ კონვერტირებად ვალდებულებაში განივთებული წარმოებული ინსტრუმენტი თავად იქნება წილობრივი ინსტრუმენტი, ვალდებულების ვადები არ იმოქმედებს მის კლასიფიკაციაზე.

„ძირითადი საშუალებები: შემოსავალი დანიშნულებისამებრ გამოყენებამდე – ბასს (IAS) 16-ის ცვლილება

2020 წლის მაისში ბასს-მა გამოსცა „ძირითადი საშუალებები – შემოსავალი დანიშნულებისამებრ გამოყენებამდე“, რომელიც საწარმოებს უკრძალავს ძირითადი საშუალების ღირებულებიდან წარმოებული ერთეულების გაყიდვიდან მიღებული ნებისმიერი ამონაგების გამოკლებას, ამგვარი აქტივის ხელმძღვანელობის მიერ განსაზღვრული ფორმით ფუნქციონირებისთვის საჭირო ადგილმდებარეობაზე და მდგომარეობაში მოყვანის დროს. ამის ნაცვლად, საწარმო აღიარებს ამონაგებს ამგვარი ერთეულების რეალიზაციიდან და მათი წარმოების ხარჯებს მოგებაში ან ზარალში. ცვლილება ძალაშია 2022 წლის 1 იანვარს და ამ პერიოდის შემდეგ დაწყებული წლიური საანგარიშგებო პერიოდებისთვის და ის რეტროსპექტულად უნდა იქნას გამოყენებული იმ ძირითად საშუალებებთან დაკავშირებით, რომლებიც გამოსაყენებლად ხელმისაწვდომი გახდა ყველაზე ადრე წარმოდგენილი პერიოდის დაწყებისას ან მის შემდეგ, როდესაც საწარმო პირველად გამოიყენებს ამ ცვლილებას.

მოსალოდნელი არ არის, რომ ამ ცვლილებებს არსებითი გავლენა ექნებათ კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაზე.

სს „დარიალი ენერჯი“

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)

ათას ლარში

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკების მიმოხილვა (გაგრძელება)

(ო) სტანდარტები, რომლებიც გამოიცა, მაგრამ ჯერ ძალაში არ შესულა (გაგრძელება)

სააღრიცხვო პოლიტიკებთან დაკავშირებული განმარტებითი შენიშვნა – ბასს (IAS) 1-ის ცვლილება და განცხადება 2 ფასს-ების გამოყენების პრაქტიკის შესახებ.

2021 წლის თებერვალში ბასსს-მა გამოსცა ბასს (IAS) 1-ის და ფასს-ების გამოყენების პრაქტიკის მე-2 განცხადების – *არსებითობასთან დაკავშირებული მსჯელობები* – ცვლილება, რომელშიც მან წარმოადგინა სახელმძღვანელო მითითებები და მაგალითები საწარმოების დასახმარებლად სააღრიცხვო პოლიტიკის განმარტებითი შენიშვნების არსებითობასთან დაკავშირებულ მსჯელობაში. ცვლილების მიზანია დაეხმაროს საწარმოებს სააღრიცხვო პოლიტიკასთან დაკავშირებული განმარტებითი შენიშვნების გაკეთებაში, რომლებიც მეტად სასარგებლოა საწარმოების „მნიშვნელოვანი“ სააღრიცხვო პოლიტიკების გამჟღავნების მოთხოვნის ჩასანაცვლებლად მათი „არსებითი“ სააღრიცხვო პოლიტიკების გამჟღავნების მოთხოვნით და სახელმძღვანელო მითითების დასამატებლად იმაზე, თუ როგორ იყენებენ საწარმოები არსებითობის კონცეფციას სააღრიცხვო პოლიტიკის განმარტებითი შენიშვნების შესახებ გადაწყვეტილების მიღებაში. ბასს (IAS) 1-ის ეს ცვლილება ვრცელდება 2023 წლის 1 იანვარს ან შემდეგ დაწყებულ წლიურ პერიოდებზე, ამასთან ნებადართულია ცვლილებების ვადაზე ადრე გამოყენება. რადგან პრაქტიკული მე-2 განცხადების ცვლილება უზრუნველყოფს არასავალდებულო სახელმძღვანელო მინიშნებებს ტერმინის „არსებითი“ განმარტების სააღრიცხვო პოლიტიკის ინფორმაციაში გამოყენებაზე, ამ ცვლილების ძალაში შესვლის თარიღი საჭირო არ არის.

კომპანია აფასებს ამ ცვლილების გავლენას იმ გავლენის განსაზღვრებაზე, რომელიც მათ აქვთ კომპანიის სააღრიცხვო პოლიტიკის განმარტებით შენიშვნებზე.

სხვა გამოცემული სტანდარტები და ინტერპრეტაციები, რომლებიც ჯერ არ შესულა ძალაში. მოსალოდნელი არ არის, რომ ეს სტანდარტები გავლენას მოახდენენ კომპანიაზე:

- ▶ ფასს (IFRS) 17 „*სადაზღვევო ხელშეკრულებები*“;
- ▶ „*კონცეპტუალური მიდგომა*“ – ფასს (IFRS) 3-ის ცვლილება;
- ▶ „*წამგებიანი ხელშეკრულებები – ხელშეკრულების შესრულების ხარჯი*“ – ბასს (IAS) 37-ის ცვლილება
- ▶ ფასს (IFRS) 1 – „*ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების პირველად გამოყენება*“ – შვილობილი კომპანიები, რომელიც პირველად იყენებს ფასს სტანდარტებს;
- ▶ ფასს (IFRS) 9 – „*ფინანსური ინსტრუმენტები – გადასახდელები „10-პროცენტის“ ტესტის ფარგლებში, ფინანსური ვალდებულებების აღიარების შეწყვეტისთვის*“
- ▶ ბასს (IAS) 41 „*სოფლის მეურნეობა*“ – დაბეგვრა სამართლიანი ღირებულებით შეფასებაში.
- ▶ ბასს (IAS) 8-ის ცვლილება „*სააღრიცხვო შეფასებების განმარტება*“

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)

ათას ლარში

4. შეფასებები და დაშვებები

კომპანიის ფინანსური ანგარიშგების მომზადება ხელმძღვანელობის მხრიდან მოითხოვს გარკვეულ გადაწყვეტილებებს, შეფასებებსა და დაშვებებს, რაც გავლენას ახდენს ანგარიშგებაში წარმოდგენილ შემოსავლებზე, ხარჯებზე, აქტივებსა და ვალდებულებებზე და პირობით ვალდებულებებზე, საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს. თუმცა ამ დაშვებებისა და შეფასებების სუბიექტური ხასიათის გამო შეიძლება მნიშვნელოვანი კორექტირებების შეტანა გახდეს საჭირო მომავალი პერიოდების აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებაში.

მოსაზრებები

ქვემოთ წარმოდგენილია კომპანიის სააღრიცხვო პოლიტიკის გატარების პროცესში ხელმძღვანელობის მიერ გამოთქმული მოსაზრებები, რომლებიც ყველაზე მეტად მოქმედებს ფინანსურ ანგარიშგებაში ასახულ თანხებზე.

შეფასებები და დაშვებები

მომავალთან დაკავშირებით გაკეთებული ძირითადი დაშვებები და შეფასებები და ასევე სხვა განუსაზღვრელობები საანგარიშგებო თარიღისათვის, რომელთა გამოც მომავალ ფინანსურ წელს შეიძლება საჭირო გახდეს მნიშვნელოვანი ცვლილების შეტანა აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებაში, აღწერილია ქვემოთ. კომპანიამ თავისი დაშვებებისა და შეფასებების საფუძვლად გამოიყენა ის ინფორმაცია, რომელიც ხელმისაწვდომი იყო ფინანსური ანგარიშგების მომზადების დროს. თუმცა არსებული გარემოებები და დაშვებები მომავალ მოვლენებთან დაკავშირებით შეიძლება შეიცვალოს ბაზარზე ან გარემოებებში ისეთი ცვლილებების გამო, რომლებიც არ ექვემდებარება კომპანიის კონტროლს. ასეთი ცვლილებები დაშვებებში აისახება მათი დადგომისთანავე.

ტყის მასივის აღდგენის ხარჯის რეზერვი

რეკონსტრუქციისა და განვითარების ევროპულ ბანკთან გაფორმებული სასესხო ხელშეკრულების თანახმად, კომპანიას დაევალა სოციალური და ეკოლოგიური განვითარების გეგმის შემუშავება. ამ გეგმაში ჩადებული ერთ-ერთი მოთხოვნა ტყის მასივის აღდგენაა. ტყის მასივის აღდგენის 2017 წლამდე მომზადებული სამუშაო გეგმის მიხედვით, მთელი ტერიტორიის ტყის მასივის აღდგენის სამუშაოები 2016–2021 წლებში უნდა ჩატარებულიყო. 2021 წლის განმავლობაში ტყის აღდგენის გეგმა განახლდა და 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მოსალოდნელია, რომ ძირითადი სამუშაოები დასრულდება 2025 წელს, ხოლო დარჩენილი მცირე ნაწილი თანდათანობით 2034 წლისთვის. ამ რეზერვის სამართლიანი ღირებულების განსაზღვრისას გაკეთდა წინასწარი შეფასებები დისკონტირების განაკვეთთან და ხარჯთაღრიცხვასთან დაკავშირებით. რეზერვის საბალანსო ღირებულება 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შეადგენს 1,706 ლარს (2020 წ.: 2,182 ლარი). კომპანიის შეფასებით, დანახარჯების რეალიზაცია მოხდებოდა 14 წლის ვადაში ტყის მასივების აღდგენის სამუშაოს დასრულებისთანავე და გამოითვლის რეზერვს დისკონტირებული ფულადი ნაკადების მეთოდის გამოყენებით 7.52%-იან დისკონტირების განაკვეთზე დაყრდნობით.

სს „დარიალი ენერჯი“

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)

ათას ლარში

5. ძირითადი საშუალებები

	მიწა	საოფისე აღჭურვი- ლობა	ავტოსატრანსპორტო საშუალებები	მანქანა- დანადგარები	სათადა- რიგო ნაწილები	დაუმთავ- რებელი შენიშვნა	სულ
თვითღირებულება							
2020 წლის 1 იანვარს	14	226	276	251,711	357	–	252,584
შესყიდვები	–	23	–	120	–	–	143
2020 წლის 31 დეკემბერს	14	249	276	251,831	357	–	252,727
შესყიდვები	–	59	191	202	–	528	980
გასვლები	–	(4)	(80)	–	–	–	(84)
2021 წლის 31 დეკემბერს	14	304	387	252,033	357	528	253,623
დაგროვილი ცვეთა							
2020 წლის 1 იანვარს	–	(100)	(132)	(21,095)	–	–	(21,327)
ცვეთა წლის განმავლობაში	–	(32)	(52)	(6,843)	–	–	(6,927)
2020 წლის 31 დეკემბერს	–	(132)	(184)	(27,938)	–	–	(28,254)
ცვეთა წლის განმავლობაში	–	(49)	(40)	(6,861)	–	–	(6,950)
გასვლები	–	3	21	–	–	–	24
2021 წლის 31 დეკემბერს	–	(178)	(203)	(34,799)	–	–	(35,180)
წმინდა საბალანსო ღირებულება							
2020 წლის 31 დეკემბერს	14	117	92	223,893	357	–	224,473
2021 წლის 31 დეკემბერს	14	126	184	217,234	357	528	218,443

2014 წლის 12 აგვისტოს კომპანიამ გააფორმა პირობითი დათმობის ხელშეკრულება, რომლის მიხედვითაც კომპანიის მთლიანი ნაგებობა და მანქანა-დანადგარები გადაეცემა რეკონსტრუქციის და განვითარების ევროპულ ბანკს მისი სესხის გადაუხდელობის შემთხვევაში.

სს „დარიალი ენერჯი“

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)

ათას ლარში

6. გამოყენების უფლების მქონე აქტივები და საიჯარო ვალდებულებები

ქვემოთ მოცემულია კომპანიის გამოყენების უფლებით გადაცემული აქტივების და საიჯარო ვალდებულებების საბალანსო ღირებულებები და მოძრაობა ამ პერიოდის განმავლობაში:

	გამოყენების უფლებით გადმოცემული აქტივები	საიჯარო ვალდებულებები
2020 წლის 1 იანვარს	371	388
შესყიდვები	464	464
გასვლები	(295)	(334)
ცვეთის ხარჯი	(87)	–
საპროცენტო ხარჯი	–	32
გადახდები	–	(121)
საკურსო სხვაობა	–	40
2020 წლის 31 დეკემბერს	453	469
შესყიდვები	38	37
ცვეთის ხარჯი	(80)	–
საპროცენტო ხარჯი	–	30
გადახდები	–	(106)
საკურსო სხვაობა	–	(21)
2021 წლის 31 დეკემბერს	411	409

საიჯარო ვალდებულებების ვადიანობის ანალიზი განხილულია მე-13 შენიშვნაში.

7. ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები

	2021	2020
ნაღდი ფულის ნაშთი ბანკში	23,940	15,357

ფინანსური საქმიანობიდან მიღებულმა შემოსავალმა ფულად სახსრებსა და მათ ეკვივალენტებზე 2021 წლისთვის 242 ლარი შეადგინა (2020 წ.: 409 ლარი).

შეზღუდული წვდომის დეპოზიტები მოიცავს 20,243 ლარის ოდენობის ფულად სახსრებს (2020 წ.: 17,809 ლარი), რომლებიც ასრულებს რეკონსტრუქციის და განვითარების ევროპულ ბანკთან გაფორმებული სასესხო ხელშეკრულების მიხედვით სავალდებულო სესხის მომსახურების ანგარიშის ფუნქციას (მე-10 შენიშვნა). ფინანსური საქმიანობიდან მიღებულმა შემოსავალმა შეზღუდული წვდომის დეპოზიტებზე 2021 წელს ნული ლარი (2020 წ.: 23 ლარი) შეადგინა.

სს „დარიალი ენერჯი“

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)

ათას ლარში

8. კაპიტალი

2021 წლისა და 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის საწესდებო კაპიტალი შედგება 47,433,333 ნებადართული და გამოშვებული ხმის თანაბარი უფლების მქონე ჩვეულებრივი აქციისგან, რომელთაგან თითოეულის ნომინალური ღირებულება 1 აშშ დოლარია.

კომპანიის ავტორიზებული და გამოშვებული აქციების რაოდენობა 2021 წლისა და 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით იყო შემდეგი:

	2020 წლის 31 დეკემბერი	2019 წლის 31 დეკემბერი
შპს „ენერგია“	21,000,000	21,000,000
შპს „TEPCO Renewable power Singapore PTE“	14,883,333	14,883,333
Lock W. Home Irrevocable Trust 2012 წლის დეკემბერი	11,550,000	11,550,000
	47,433,333	47,433,333

კომპანიის საწესდებო კაპიტალი აშშ დოლარშია გამოხატული. 2021 წლისა და 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, კომპანიის 33,333,333 ჩვეულებრივი აქცია დაგირავებული იყო მიღებული სესხების უზრუნველსაყოფად.

2021 წლის განმავლობაში კომპანიამ გამოაცხადა 20,442 ლარის დივიდენდები (2020 წ.: ნული) და 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით 17,238 ლარის დივიდენდი გადაიხადა.

9. პროცენტური სესხები

	2021	2020
პროცენტური სესხების მიმდინარე ნაწილი	28,748	28,678
პროცენტური სესხების გრძელვადიანი ნაწილი	104,659	141,043
სულ პროცენტური სესხები და გადასახდელი ანგარიშები	133,407	169,721

2014 წლის 12 აგვისტოს კომპანიამ გააფორმა სასესხო ხელშეკრულება რეკონსტრუქციის და განვითარების ევროპულ ბანკთან 80,000 ათასი აშშ დოლარის საკრედიტო ხაზზე (დაახლოებით 211,744 ლარი). რეკონსტრუქციის და განვითარების ევროპული ბანკის საკრედიტო ხაზი გამოხატულია აშშ დოლარში და აქვს 10-წლიანი ვადა.

ფინანსური ხარჯი პროცენტურ სესხებზე 2021 წლისთვის 12,544 ლარს (2020 წ.: 10,204 ლარი) შეადგენდა.

2021 წლისა და 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანია აკმაყოფილებდა რეკონსტრუქციის და განვითარების ევროპულ ბანკთან სასესხო ხელშეკრულების პირობებს.

სს „დარიალი ენერჯი“

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)

ათას ლარში

10. შემოსავალი ელექტროენერგიის რეალიზაციიდან

2014 წლის 18 ივლისს კომპანიამ „ესკო“-სთან გააფორმა ხელშეკრულება ათი წლის განმავლობაში ელექტროენერგიის გარანტირებულ შესყიდვაზე.

ამ ხელშეკრულების თანახმად, კომპანიას უფლება აქვს გაყიდოს, ხოლო „ესკო“ ვალდებულია, იყიდოს კომპანიისგან ელექტროენერგია გარანტირებულ ფასად, ოქტომბრიდან აპრილამდე (6 თვე) 1 კვტ/სთ 6,5 აშშ ცენტად ხოლო აპრილიდან ოქტომბრამდე (6 თვე) 1 კვტ/სთ 5,0 აშშ ცენტად – 2019 წლის 7 ოქტომბერს, გაფორმდა ხელშეკრულების ცვლილება, რომლითაც 2021 წლის 1 სექტემბრიდან 2031 წლის 1 სექტემბრამდე პერიოდში აპრილიდან ოქტომბრამდე (6 თვე) 1 კვტ/სთ 5,0 აშშ ცენტის ნაცვლად გახდა 5,7 აშშ ცენტი.

2021 და 2020 წლების განმავლობაში კომპანია ელექტროენერგიას მხოლოდ „ესკო“-ზე ჰყიდდა. ელექტროენერგიის რეალიზაციიდან მიღებული მთლიანი შემოსავალი სს „ელექტროსისტემის კომერციულ ოპერატორზე“ („ესკო“) მოდის.

2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, 4,550 ლარის სავაჭრო მოთხოვნები უკავშირდება გაყიდული ელექტროენერგიის დებიტორულ დავალიანებას (2020 წლის 31 დეკემბერი: 3,470 ლარი). სავაჭრო მოთხოვნების დარჩენილი 167 ლარი 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით (2020 წლის 31 დეკემბერი: 99 ლარი) არის დებიტორული დავალიანება დაკავშირებული მხარის მიმართ. სავაჭრო მოთხოვნებს პროცენტი არ ერიცხებათ და არც ვადაგადაცილებულია.

11. სხვა საოპერაციო ხარჯები

კომპანიის სხვა საოპერაციო ხარჯები 2021 წლისა და 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

	2021	2020
დაზღვევა	733	692
ტყის მასივის აღდგენის ხარჯები	322	429
პროფესიული მომსახურება	271	389
საკომისიოები	205	245
საქველმოქმედო ხარჯები	–	200
დაცვა-უსაფრთხოების ხარჯები	166	177
საწევრო შენატანი	–	48
სარემონტო ხარჯები	–	4
სხვა	938	462
	2,635	2,646

სს „დარიალი ენერჯი“

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)

ათას ლარში

12. მოგების გადასახადი

მოგების გადასახადის ეფექტური განაკვეთი განსხვავდება კანონმდებლობით გათვალისწინებული საგადასახადო განაკვეთისგან. ქვემოთ კანონმდებლობით გათვალისწინებული განაკვეთების მიხედვით მოგების გადასახადის ხარჯი შესაბამისობაშია მოყვანილი გადასახადის რეალურ ოდენობასთან:

	2021	2020
დივიდენდები	20,442	–
კანონით დადგენილი საგადასახადო განაკვეთი	15/85	15/85
თეორიული მოგების გადასახადის ხარჯი კანონმდებლობით გათვალისწინებული გადასახადის განაკვეთით	3,607	–
საქართველოს რეზიდენტ აქციონერებზე დაუქვითავი განაწილების გამოკლებით	(1,743)	–
მოგების გადასახადის ხარჯი	1,864	–

13. ფინანსური ინსტრუმენტები და რისკის მართვა

მიმოხილვა

კომპანიის ძირითადი ფინანსური ვალდებულებები შედგება პროცენტის სესხებისგან, ძირითადი საშუალებების და სხვა კრედიტორული დავალიანებისგან. ამ ფინანსური ვალდებულებების ძირითადი მიზანია კომპანიის კაპიტალური და საოპერაციო ხარჯების დაფინანსება. კომპანიას მიმდინარე ანგარიშებზე განთავსებული აქვს საწესდებო კაპიტალის გამოშვების შედეგად მიღებული და პროცენტის სესხები სახით ნასესხები ფულადი სახსრები.

კომპანიის საქმიანობისთვის დამახასიათებელი ძირითადი რისკებია საკრედიტო, ლიკვიდურობის და საბაზრო რისკები.

კომპანიის ხელმძღვანელობის მიერ ფინანსური რისკის მართვის მიზანია კომპანიის ყოველდღიური ოპერაციების შესრულების უზრუნველყოფა, ოპერაციებიდან საკმარისი ნაღდი ფულის მიღება, რომ დააფინანსოს საოპერაციო და მიმდინარე კაპიტალური დანახარჯები და სასესხო ვალდებულებები მესამე მხარეების მიმართ.

(ა) საკრედიტო რისკი

საკრედიტო რისკი არის რისკი იმისა, რომ მომწოდებელი ვერ შეასრულებს ფინანსური ინსტრუმენტით გათვალისწინებულ ვალდებულებებს და ამით კომპანიას ფინანსური ზარალი მიადგება. კომპანიას საკრედიტო რისკი აქვს ფინანსური საქმიანობიდან გამომდინარე, ბანკებსა და ფინანსურ ინსტიტუტებში განთავსებული ანაზრების ჩათვლით.

კომპანიას საკრედიტო რისკი აქვს მხოლოდ ფულადი სახსრებისა და მათი ეკვივალენტების (ნაღდი ფულის ნაშთი ბანკში), შეზღუდული წვდომის დეპოზიტებისა და სავაჭრო მოთხოვნების ოდენობით. ნაღდი ფულის ნაშთი განთავსებულია ერთ–ერთ უმსხვილეს ქართულ ბანკში, ხოლო შეზღუდული წვდომის დეპოზიტები განთავსებულია ერთ–ერთ უდიდეს გერმანულ ბანკში. ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები, შეზღუდული წვდომის დეპოზიტები და სავაჭრო მოთხოვნები არც გაუფასურებულია და არც ვადაგადაცილებული.

სს „დარიალი ენერჯი“

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)

ათას ლარში

13. ფინანსური ინსტრუმენტები და რისკის მართვა (გაგრძელება)

(ბ) ლიკვიდურობის რისკი

ლიკვიდურობის რისკი არის რისკი იმისა, რომ კომპანიას გაუჭირდება ფინანსური ვალდებულებების შესრულება, რაც გულისხმობს მათ დაფარვას ფულადი სახსრებით ან სხვა რომელიმე ფინანსური აქტივით. ლიკვიდურობის მართვის მიმართ კომპანიის მიდგომაა, შეძლებისდაგვარად იმის უზრუნველყოფა, რომ ყოველთვის ჰქონდეს ვადამოსული ვალდებულებების დაფარვისთვის საკმარისი ლიკვიდურობა როგორც ნორმალურ, ისე სტრესულ პირობებში, დაუშვებელი დანაკარგების განცდისა და კომპანიის რეპუტაციისთვის საფრთხის შექმნის გარეშე.

ლიკვიდურობის რისკის გონივრული მართვა გულისხმობს საკმარისი რაოდენობის ფულადი სახსრების შენარჩუნებას და დაფინანსების ხელმისაწვდომობას საკმარისი საკრედიტო თანხების საშუალებით. მე-3 შენიშვნაში უფრო დეტალურად არის აღწერილი ლიკვიდურობასთან დაკავშირებული რისკი.

ქვემოთ მოცემული ფინანსური ვალდებულებების არადისკონტირებული სახელშეკრულებო ვადები. ძირითადი საშუალებების და სხვა კრედიტორულ დავალიანებასთან დაკავშირებული ფულადი ნაკადების ვადები და თანხები სავარაუდოდ არ იქნება განსხვავებული ვადიანობის ანალიზში აღწერილისგან.

2021 წლის 31 დეკემბერი	სახელშეკრულებო				
	საბალანსო ღირებულება	ფულადი ნაკადები	0-3 თვე	3 თვიდან 1 წლამდე	1-დან 5 წლამდე
ფინანსური ვალდებულებები					
პროცენტიანი სესხები	133,407	149,149	19,345	15,920	113,884
საგადასახადო კრედიტორული დავალიანება	779	779	779	-	-
გადასახდელი დივიდენდები	2,771	2,771	2,771	-	-
ძირითად საშუალებებთან დაკავშირებული კრედიტორული დავალიანება	42	42	42	-	-
სხვა კრედიტორული დავალიანება	33	33	33	-	-
საიჯარო ვალდებულებები	409	450	29	86	335
	137,441	153,224	22,999	16,006	114,219

სს „დარიალი ენერჯი“

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)

ათას ლარში

13. ფინანსური ინსტრუმენტები და რისკის მართვა (გაგრძელება)

(ბ) ლიკვიდურობის რისკი (გაგრძელება)

2020 წლის 31 დეკემბერი	სახელშეკრუ- ლებო		0-3 თვე	3 თვიდან 1 წლამდე	1-დან 5 წლამდე	5 წელზე მეტი
	საბალანსო ღირებულება	ფულადი ნაკადები				
ფინანსური ვალდებულებები						
პროცენტიანი სესხები	169,721	194,954	20,415	16,830	149,239	8,470
სუბორდინირებული სასესხო კრედიტორული დავალიანება	10,902	11,186	11,186	–	–	–
ძირითად საშუალებებთან დაკავშირებული კრედიტორული დავალიანება	147	147	147	–	–	–
სხვა კრედიტორული დავალიანება	136	136	136	–	–	–
საიჯარო ვალდებულებები	469	560	4	84	472	–
	181,375	206,983	31,888	16,914	149,711	8,470

(გ) საბაზრო რისკი

საბაზრო რისკი არის რისკი იმისა, რომ ფინანსური ინსტრუმენტის სამომავლო ფულადი ნაკადების სამართლიანი ღირებულება ცვალებადი იქნება საბაზრო ფასების მერყეობის გამო. საბაზრო ფასები ორი ტიპის რისკს მოიცავს: საპროცენტო განაკვეთის რისკსა და სავალუტო რისკს. ფინანსური ინსტრუმენტები, რომლებზეც საბაზრო რისკები მოქმედებს, მოიცავს პროცენტიან სესხებს, ძირითადი საშუალებების და სხვა კრედიტორული დავალიანებას და ნაღდი ფულის ნაშთს ბანკში.

სავალუტო რისკი

სავალუტო რისკი არის რისკი იმისა, რომ ფინანსური ინსტრუმენტის სამართლიანი ღირებულება ან სამომავლო ფულადი ნაკადები ცვალებადი იქნება სავალუტო კურსის მერყეობის გამო. კომპანიისთვის დამახასიათებელი სავალუტო რისკი ძირითადად უკავშირდება კომპანიის უცხოურ ვალუტაში გამოხატულ ფინანსურ ვალდებულებებს.

მგრძნობელობის ანალიზები მომზადდა იმ დაშვების საფუძველზე, რომ ფინანსური ინსტრუმენტების პროპორციული წილი უცხოურ ვალუტაში მუდმივია.

სს „დარიალი ენერჯი“

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)

ათას ლარში

13. ფინანსური ინსტრუმენტები და რისკის მართვა (გაგრძელება)

(გ) საბაზრო რისკი (გაგრძელება)

კომპანია არ ახდენს გაცვლითი კურსის რისკის წინააღმდეგ ჰეჯირებას.

კომპანიის სავალუტო რისკები ასეთია:

	აშშ დოლარში – გამოხატული	
	2021	2020
პროცენტიანი სესხები	(133,407)	(169,721)
საიჯარო ვალდებულებები	(409)	(469)
სუბორდინირებული სასესხო კრედიტორული დავალიანება	–	(10,902)
ძირითად საშუალებებთან დაკავშირებული კრედიტორული დავალიანება	(36)	(147)
გადასახდელი დივიდენდები	2,771	–
ფულადი სახსრები, რომელთა გამოყენებაც შეზღუდულია	20,243	17,809
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	13,938	14,859
რისკის ნეტო ოდენობა	(96,900)	(148,571)

აშშ დოლართან მიმართებაში ლარის გამყარება/გაუფასურება 31 დეკემბრის მდგომარეობით მოგების ან ზარალის ქვემოთ წარმოდგენილ თანხებს შემდეგნაირად გაზრდიდა/(შემამცირებდა):

	გამყარება	გაუფასურება
2021 წლის 31 დეკემბერი		
აშშ დოლარი (+10%/–7%–იანი ცვლილება)	9,690	(6,783)
2020 წლის 31 დეკემბერი		
აშშ დოლარი (+10%/–7%–იანი ცვლილება)	14,857	(10,400)

საპროცენტო განაკვეთის რისკი

პროცენტულ განაკვეთთან დაკავშირებული რისკი გამოიხატება კომპანიის ფინანსურ მდგომარეობაზე საპროცენტო განაკვეთების მოძრაობის უარყოფით ზეგავლენაში, რაც აისახება მოზიდულ ფინანსურ საშუალებებზე დარიცხული პროცენტების ზრდით ან გამოყოფილი ფულადი სახსრებიდან მიღებული მოგების შემცირებით. 2021 წლისა და 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, კომპანია მოზიდულ დაფინანსებასთან დაკავშირებით აქვს საპროცენტო განაკვეთის რისკს, რადგან რეკონსტრუქციის და განვითარების ევროპული ბანკისგან მიღებულ სესხის ნაწილს აქვს ცვალებადი საპროცენტო განაკვეთი.

სს „დარიალი ენერჯი“

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)

ათას ლარში

13. ფინანსური ინსტრუმენტები და რისკის მართვა (გაგრძელება)

(გ) საბაზრო რისკი (გაგრძელება)

ქვემოთ მოცემული ცხრილი აჩვენებს სესხებზე და გადასახდელ ანგარიშებზე არსებულ საპროცენტო განაკვეთებში შესაძლო ცვლილებების ეფექტს კომპანიის გადასახადებამდე არსებულ მოგებაზე, სხვა ფაქტორების უცვლელობის პირობით:

	ცვლილება საპროცენტო განაკვეთში	ეფექტი დასაბეგრ მოგებაზე
2021	+1.00%	267
	-0.25%	(67)
2020	+1.00%	1,035
	-0.25%	(259)

(დ) კაპიტალის მართვა

კომპანიის კაპიტალი შედგება კომპანიის საკუთარ კაპიტალში აქციონერის შენატანისგან, დამატებით შეტანილი კაპიტალისგან (გადაფასების შედეგად მიღებული შემოსულობა ქოლ-ოფციონის გამოყენების შემდეგ) და დაგროვილი ზარალისგან.

კომპანიას არ ეხება კაპიტალთან დაკავშირებული გარე მოთხოვნები. კომპანიას არ აქვს კაპიტალის მართვის ოფიციალური პოლიტიკა, მაგრამ ხელმძღვანელობა ცდილობს კაპიტალის საკმარისი ბაზის შენარჩუნებას, რომ დააკმაყოფილოს კომპანიის საოპერაციო და სტრატეგიული მიზნები.

14. სამართლიანი ღირებულებები

სამართლიანი ღირებულების შეფასება ხორციელდება იმ თანხის დაახლოებით დასადგენად, რომელზეც შეიძლება გაიცვალოს ფინანსური ინსტრუმენტი მხარეებს შორის გაშლილი ხელის მანძილის პრინციპით შემდგარი გარიგების დროს. თუმცა, განუსაზღვრელობების და სუბიექტური მოსაზრების გათვალისწინებით, სამართლიანი ღირებულება არ უნდა იყოს ინტერპრეტირებული ისე, რომ მისი რეალიზება შესაძლებელია აქტივის დაუყოვნებლივ გაყიდვით ან ვალდებულებების დაფარვით.

კომპანიის ყველა ფინანსური აქტივი და ვალდებულება, გარდა პროცენტიანი სესხებისა, ხასიათდება მოკლევადიანობით და შესაბამისად მათი საბალანსო ღირებულება უახლოვდება მათ სამართლიან ღირებულებას.

პროცენტიანი სესხების სამართლიანი ღირებულება ასევე უახლოვდება მათ საბალანსო ღირებულებას იმდენად, რამდენადაც სესხების საპროცენტო განაკვეთები ექცევა ბაზარზე მსგავსი ფინანსური გარიგებებისთვის განსაზღვრული გავრცელებული საპროცენტო განაკვეთების ჩარჩოებში.

ყველა ფინანსური აქტივი და ფინანსური ვალდებულება, რომელთა სამართლიანი ღირებულებებიც ცნობილია, სამართლიანი ღირებულებების იერარქიაში მე-3 დონით ფასდება, გარდა ფულადი სახსრებისა და მათი ეკვივალენტებისა, რომლებიც 1-ლი დონით არის შეფასებული.

სს „დარიალი ენერჯი“

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)

ათას ლარში

15. ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან

ბასს (IAS) 24-ის „დაკავშირებულ მხარეთა განმარტებითი შენიშვნები“ მიხედვით მხარეები ითვლება დაკავშირებულად, თუ ერთ მხარეს აქვს უნარი, გააკონტროლოს მეორე მხარე ან მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინოს მეორე მხარის ფინანსურ და საოპერაციო გადაწყვეტილებებზე. თითოეული შესაძლო ურთიერთკავშირის განხილვისას, ყურადღება ექცევა ურთიერთობის შინაარსს და არა მხოლოდ სამართლებრივ ფორმას.

დაკავშირებულმა მხარეებმა შეიძლება დადონ ისეთი გარიგებები, როგორსაც არ დადებდნენ დაუკავშირებელი მხარეები და დაკავშირებულ მხარეებს შორის დადებული გარიგებები შეიძლება არ დაიდოს იმავე პირობებითა და თანხებით, როგორითაც დაიდებოდა გარიგებები დაუკავშირებელ მხარეებს შორის.

საოპერაციო გარიგებები

ქვემოთ წარმოდგენილ ცხრილში მოცემულია იმ გარიგებების მთლიანი თანხა, რომლებიც გაფორმდა დაკავშირებულ მხარეებთან, ასევე ნაშთები დაკავშირებულ მხარეებთან, შესაბამისი ფინანსური წლის განმავლობაში.

აქციონერები	გაწეული მომსახურებები	გადახდილი დივიდენდები	საიჯარო ხარჯი	ფინანსურ საქმიანობაზე გაწეული ხარჯი	ვალდებულ-	მოთხოვნები
					ბები დაკავშირებულ მხარეების მიმართ	დაკავშირებულ მხარეების მიმართ
2021						
შპს „TEPCO Renewable power Singapore PTE“	–	3,191	–	–	2,771	–
Lok W. Home	–	4,613	–	–	–	–
შპს „ენერგია“	306	9,867	62	–	167	–
2020						
შპს „ენერგია“	–	–	69	–	62	99
შპს „ფერი“	–	–	–	759	–	–

2020 წლის 27 აპრილამდე კომპანიის აქციონერი იყო შპს „ფერი“. ფინანსური ხარჯი მოიცავს საპროცენტო ხარჯს 2020 წლის 27 აპრილამდე.

კომპანიის უმაღლესი რანგის ხელმძღვანელი პირების ანაზღაურება

2021 წლის განმავლობაში უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობასთან დაკავშირებით საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში ხარჯად აღიარებული თანხები შეადგენდა 310 ლარს (2020 წ.: 250 ლარი).

სს „დარიალი ენერჯი“

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)

ათას ლარში

16. პირობითი ვალდებულებები

კომპანიასა და სს „ელექტროსისტემის კომერციულ ოპერატორს“ შორის გაფორმებული ხელშეკრულებით აღებული ვალდებულება

2014 წლის 18 ივლისს კომპანიასა და „ესკო“-ს შორის გაფორმდა ხელშეკრულება ელექტროენერგიის გარანტირებული შესყიდვის თაობაზე. ამ ხელშეკრულების თანახმად, კომპანიას ევალება ელექტროენერგიის მიწოდება „ესკო“-თვის ზამთრის თვეებში (დეკემბერში, იანვარსა და თებერვალში) გარანტირებულ ფასად – 1 კვტ/სთ 6.5 აშშ ცენტად. 2019 წლის 7 ოქტომბერს, „ესკო“-სთან გაფორმებული ხელშეკრულება შეიცვალა და 2021 წლის სექტემბრიდან აპრილიდან სექტემბრამდე თვეებისთვის 1 კვტ/სთ-ზე 0,07 ცენტით გაიზარდა.

17. ცვლილებები საფინანსო საქმიანობიდან წარმოშობილ ვალდებულებებში

ცვლილებები ფინანსური საქმიანობით გამოწვეულ ვალდებულებებში არის შემდეგი:

	2021 წლის 1 იანვარი	ფულადი ნაკადები	ფინანსური დანახარჯები	სავალუტო კურსის მოძრაობა	სხვა	2021 წლის 31 დეკემბერი
პროცენტიანი სესხები სუბორდინირებული სასესხო კრედიტორული დავალიანება	169,721	(36,544)	8,450	(8,143)	(77)	133,407
საიჯარო ვალდებულებები	10,902	(11,207)	3,546	(3,241)	–	–
	469	(106)	30	(21)	37	409

	2020 წლის 1 იანვარი	ფულადი ნაკადები	ფინანსური დანახარჯები	სავალუტო კურსის მოძრაობა	სხვა	2020 წლის 31 დეკემბერი
პროცენტიანი სესხები სუბორდინირებული სასესხო კრედიტორული დავალიანება	171,788	(34,173)	10,204	21,902	–	169,721
საიჯარო ვალდებულებები	23,775	(17,933)	1,835	3,225	–	10,902
	388	(121)	32	40	130	469

18. ანგარიშგების თარიღის შემდგომი მოვლენები

2022 წლის 21 იანვარს კომპანიამ სრულად დაფარა დაუფარავი სადივიდენტო კრედიტორული დავალიანება მისი აქციონერის მიმართ, შპს „TEPCO Renewable Power Singapore PTE“-ის მიმართ, რომელიც 2,771 ლარს შეადგენდა.

უკრაინაში ომის შედეგად ბევრმა წამყვანმა ქვეყანამ და ეკონომიკურმა კავშირმა უმკაცრესი ეკონომიკური სანქციები დაუწესა რუსეთს, მათ შორის რუსულ ბანკებს, სხვა საწარმოებსა და ფიზიკურ პირებს. ომის დაწყების შემდეგ რუსული რუბლი უცხოურ ვალუტებთან მიმართებით მნიშვნელოვნად გაუფასურდა, ასევე გაუფასურდა რუსული კომპანიების ფასიანი ქაღალდების ღირებულება. სიტუაცია ჯერ კიდევ ვითარდება, თუმცა უკვე გამოიწვია ჰუმანიტარული კრიზისი და უზარმაზარი ეკონომიკური ზარალი უკრაინაში, რუსეთსა და დანარჩენ მსოფლიოში. უკრაინა და რუსეთი საქართველოს მნიშვნელოვანი სავაჭრო პარტნიორები არიან. მოსალოდნელია, რომ ომს უარყოფითი გავლენა ექნება საქართველოს ეკონომიკაზე. ვინაიდან ომი ჯერაც მიმდინარეობს, შეუძლებელია იმის სარწმუნოდ შეფასება, თუ როგორ აისახება ეს კომპანიის საქმიანობაზე, რადგან გაურკვეველია, რა მასშტაბის გავლენას მოახდენს ზოგადად ეკონომიკაზე. კომპანიის ხელმძღვანელობა თვალს ადევნებს შექმნილი ვითარებით გამოწვეულ ცვლილებებს ეკონომიკაში. კომპანია უკრაინაში მიმდინარე ომს საბალანსო უწყისის შედგენის შემდგომ მომხდარ არამაკორექტირებელ მოვლენად მიიჩნევს.

ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის მე-7 მუხლის მე-10 პუნქტის მოთხოვნების შესაბამისად მომზადებული ანგარიში

შპს „დარიალი ენერჯის“ აქციონერებსა და ხელმძღვანელებს

ჩვენ აუდიტირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე 2022 წლის 18 მარტს გაცემულ დასკვნაში გამოვთქვით არამოდიფიცირებული აუდიტორული მოსაზრება. აუდიტირებული ფინანსური ანგარიშგება არ ასახავს აუდიტირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე ჩვენ მიერ გაცემული დასკვნის თარიღის შემდეგ მომხდარი მოვლენების შედეგებს. ჩვენ არ ჩავვითარებთ მმართველობით ანგარიშში ასახული იმ მოვლენების შედეგების აუდიტი, რომლებიც დადგა ჩვენ მიერ აუდიტირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე გაცემული აუდიტორის დასკვნის თარიღის შემდეგ.

ჩვენი აზრით, რომელიც ეყრდნობა აუდიტის ფარგლებში ჩატარებულ სამუშაოებს:

- მმართველობით ანგარიშგებაში ასახული იმავე ფინანსური წლის ინფორმაცია, რომლისთვისაც მომზადდა ფინანსური ანგარიშგება, შესაბამისობაშია ფინანსურ ანგარიშგებასთან; და
- მმართველობით ანგარიშგებაში წარმოდგენილი ინფორმაცია აკმაყოფილებს ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის მე-7 მუხლისა და შესაბამისი ნორმატიული აქტების მოთხოვნებს.



ანა კუსრაშვილი

შპს „იუაის“ სახელით

თბილისი, საქართველო

2022 წლის 30 სექტემბერი

სს „დარიალი ენერჯის“ მმართველობითი ანგარიშგება 2021

საქმიანობის მიმოხილვა

სს „დარიალი ენერჯი“ (შემდგომში „კომპანია“) წარმოადგენს საქართველოს კანონმდებლობის საფუძველზე რეგისტრირებულ სააქციო საზოგადოებას. კომპანიის იურიდიული მისამართია ჩაჩავას ქ. № 8, თბილისი, 0159, საქართველო. კომპანიის ძირითადი საქმიანობაა ელექტროენერგიის გამომუშავება და გაყიდვა. კომპანიის ძირითადი საოპერაციო აქტივი არის დარიალის ჰიდროელექტროსადგური, რომელიც მდებარეობს დარიალის ხეობაში მდინარე თერგზე (ყაზბეგის რაიონი). ჰიდრო-ელექტროსადგურის მშენებლობა დასრულდა 2016 წლის ნოემბერში და 2016 წლის 30 დეკემბრიდან კომპანიამ დაიწყო ელექტროენერგიის გამომუშავება და გაყიდვა. კომპანიის ძირითადი მესაკუთრე-ბენეფიციარები არიან:

31 დეკემბერი 2021

შპს „ენერგია“	44.27%
TEPCO Renewable Power Singapore Pte. Ltd.	31.38%
Lock W. Home Irrevocable Trust	24.35%
სულ	100.00%

კომპანია, წესდების შესაბამისად, წელიწადში ერთხელ, სამეურნეო წლის დასრულებიდან არაუგვიანეს სამი თვის ვადაში, ატარებს აქციონერთა კრებას, სადაც განიხილავს და იღებს გადაწყვეტილებას წლიური შედეგების შესახებ.

კომპანია აღრიცხვა-ანგარიშსწორებას აწარმოებს ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად. კომპანიას საბუღალტრო მომსახურებას უწევს შპს „გროუ კონსალტინგი“. სააღრიცხვო ინფორმაციის დამუშავება და ასახვა ხდება საბუღალტრო პროგრამა „ინფო“ საწარმოში. თითოეული სააღრიცხვო დოკუმენტი/ინფორმაცია მოწმდება კომპანიის უფლებამოსილ პირთან და მხოლოდ ნამდვილობის დადასტურების შემდგომ ხდება შესაბამისი ინფორმაციის ასახვა ელექტრონულ საბუღალტრო ჩანაწერებში. ყოველი თვის სააღრიცხვო ინფორმაციის შეყვანა ელექტრონულ საბუღალტრო ჩანაწერებში ხდება არაუგვიანეს მომდევნო თვის 10 რიცხვისა. კომპანიის ფინანსური ანგარიშგება მზადდება ყოველკვარტალურად და აგრეთვე მზადდება წლიური ფინანსური ანგარიშგება, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად. კომპანიას აუდიტორულ მომსახურებას უწევს შპს „იუაი“.

როგორც ქვემოთ მოყვანილი ცხრილიდან ჩანს, კომპანია წარმოადგენს მეორე კატეგორიის საწარმოს, რადგან სამი კრიტერიუმიდან აკმაყოფილებს ორს. კერძოდ, (ა) დასაქმებულთა საშუალო რაოდენობა 250-ზე ნაკლებია, და (ბ) საანგარიშო პერიოდის განმავლობაში ერთობლივი შემოსავალი 100 მილიონ ლარზე ნაკლებია.

31 დეკემბერი 2021

აქტივების ჯამური ღირებულება	268,431,000 ლარი > 50,000,000 ლარი
2021 წლის შემოსავალი	88,050,000 ლარი < 100,000,000 ლარი
2021 წელს დასაქმებულთა საშუალო რაოდენობა	59 დასაქმებული < 250

კომპანიის აქციები არ ივაჭრება საფონდო ბაზარზე.

კომპანია ფოკუსირებულია ელექტროენერგიის გამომუშავებასა და გაყიდვაზე და ახლო მომავალში არ გეგმავს ეკონომიკის სხვა სექტორებში აქტიურობას. კომპანიის მენეჯმენტი მოტივირებულია და ფოკუსირებულია კომპანიის სტაბილურ ზრდაზე, რაც გამოიხატება კომპანიის აქტიურ ჩართულობაში ელექტროენერგიის გადამცემი ხაზების რეაბილიტაციის პროცესში, რომელიც დასრულდა 2019 წლის სექტემბერში. 2016, 2017 და 2019 წლებში კომპანიამ გაწია გადამცემი ხაზების რეაბილიტაციის ხარჯები, შესაბამისად, 3,337,000, 302,000 და 811,000 ლარის ოდენობით. გადამცემი ხაზები არის სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემის“ მფლობელობაში.

კომპანიის მნიშვნელოვანი რისკები და გაურკვევლობები მოიცავს: ბუნებრივ სტიქიურ მოვლენებს, ეკონომიკურ რყევებს ქვეყანაში და მის გარეთ, სავალუტო და საკრედიტო რისკებს. დღეის მდგომარეობით გადამცემი ხაზების რეაბილიტაცია/მშენებლობა დასრულებულია. შედეგად, კომპანიას შეუძლია, გამოიმუშაოს წინა პერიოდებთან შედარებით 2-ჯერ მეტი ელექტროენერგია. გამომუშავების მატებამ თავის მხრივ მნიშვნელოვნად გაზარდა კომპანიის შემოსავლები და კომპანია მიმდინარე და მომავალ პერიოდებში შეასრულებს ნაკისრ ვალდებულებებს, მათ შორის, გარემოს დაცვით ვალდებულებებს.

კომპანიის ფინანსური ვალდებულებებია სესხის მომსახურება, ქონების გადასახადი და სხვა. 2014 წლის 12 აგვისტოს კომპანიამ გააფორმა სასესხო ხელშეკრულება ევროპის რეკონსტრუქციის და განვითარების ბანკთან (შემდგომში „EBRD“), რომლის საფუძველზე კომპანიამ მიიღო 80 მილიონი აშშ დოლარის ოდენობის 10 წლიანი სესხი. 2021 წელს კომპანიის მიერ სესხის ხელშეკრულების მომსახურების ფარგლებში გაწეულმა ხარჯმა შეადგინა 8,653,000 ლარი. კომპანიას ასევე გააჩნდა დაქვემდებარებული გრძელვადიანი სესხი დამფუძნებელი კომპანიის (შპს „ფერი“) მიმართ. აღნიშნული სესხის და მისი მომსახურების ხარჯების სრული გადახდა მოხდა ურთიერთშეთანხმებით და ეტაპობრივად 2021 წლის იანვარში, მარტსა და ოქტომბერში. ქვემოთ მოყვანილ ცხრილში მოცემულია ლარებში გამოსახული სასესხო ვალდებულების თანხები 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

	2021	2020
პროცენტიანი სესხების მიმდინარე ნაწილი	28,748,000	39,580,000
პროცენტიანი სესხების გრძელვადიანი ნაწილი	104,659,000	141,043,000
სულ პროცენტიანი სესხები და გადასახდელი ანგარიშები	133,407,000	180,623,000

კომპანია ექვემდებარება საკრედიტო და საბაზრო რისკებს და აგრეთვე – ლიკვიდურობის რისკს.

ზოგადად, საკრედიტო რისკი დაკავშირებულია საბანკო ანგარიშებზე განთავსებულ ფულად სახსრებთან და დებიტორულ დავალიანებასთან. კომპანიის თანხები განთავსებულია უდიდეს ქართულ და გერმანულ ბანკში, რაც ახდენს საკრედიტო რისკების შემცირებას. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ კომპანიას არ აქვს ვადაგადაცილებული დებიტორული დავალიანებები.

ლიკვიდურობის რისკი დაკავშირებულია კომპანიის ვალდებულებასთან, მოემსახუროს ფინანსურ ვალდებულებებს (სესხი), გაწიოს მიმდინარე საოპერაციო ხარჯები და სხვა. რადგანაც, კომპანიის ძირითადი საოპერაციო აქტივის, ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობა დასრულდა 2016 წლის ბოლოს, მენეჯმენტი ახორციელებს ლიკვიდურობის რისკის ფრთხილ მართვას, რაც გულისხმობს საკმარისი თანხების მოგროვებას საბანკო ანგარიშზე სასესხო ვალდებულებების მომსახურებისთვის. სასესხო ხელშეკრულების თანახმად, კომპანია ვალდებულია, მუდმივად ჰქონდეს რეზერვი უცხოურ ბანკში, რომელიც უნდა იყოს მომავალი სასესხო გადასახადის ტოლი. რადგანაც, კომპანია ვერ ახერხებდა ელექტროენერგიის გამომუშავებას სრული დატვირთვით გადამცემი ხაზების რეაბილიტაცია/მშენებლობის დასრულებამდე, კომპანია და EBRD შეთანხმდნენ სასესხო ვალდებულების დასაფარად სარეზერვო თანხის გამოყენებაზე. მიღწეული შეთანხმება ძალაში დარჩა 2020 წლის 1 მარტამდე. აღნიშნული თარიღიდან კომპანიას აქვს საშუალება მუდმივად იქონიოს შევსებული რეზერვი უცხოურ ბანკში და შეასრულოს მიმდინარე ვალდებულებები. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ სს „ელექტროსისტემების კომერციულ ოპერატორთან“ გაფორმებული ხელშეკრულების თანახმად, კომპანიის შემოსავლები ელექტროენერგიის გაყიდვიდან გარანტირებულია და ფასიც ფიქსირებულია. ელექტროენერგიის ფასთან დაკავშირებით ასევე გვინდა აღვნიშნოთ, რომ კომპანიასა და სახელმწიფოს შორის 2011 წლის 19 მაისს გაფორმებულ მემორანდუმში შევიდა ცვლილება, რომლის თანახმად 2021 წლის ზაფხულიდან შეიცვალა ელექტროენერგიის საზაფხულო ტარიფი, რომელიც 0.05 აშშ დოლარის ნაცვლად გახდა 0.057 აშშ დოლარი.

კომპანიის საბაზრო რისკი დაკავშირებულია მომავალი ფულადი ნაკადების ცვალებადობასთან საბაზრო ფასების ცვლილების გამო. საბაზრო რისკი შედგება ორი კომპონენტისაგან: (ა) სესხის საპროცენტო განაკვეთის ცვალებადობასთან დაკავშირებული რისკი, და (ბ) სავალუტო კურსების ცვალებადობასთან დაკავშირებული რისკი. კომპანია არ ახდენს სავალუტო რისკის ჰეჯირებას. თუმცა, აქვე უნდა აღინიშნოს ის, რომ რისკს გარკვეულწილად ამცირებს გამომუშავებული ელექტროენერგიის ფასის აშშ დოლარში ნომინაცია. კომპანიის მგრძნობელობა სავალუტო კურსის და საპროცენტო განაკვეთის ცვალებადობასთან დაკავშირებულ რისკებთან მიმართებაში მოყვანილია კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაში.

2021 წლის ბოლოს კომპანიაში დასაქმებულთა რაოდენობა იყო 59. კომპანია მკაცრად ასრულებს საქართველოს შრომის კოდექსითა და შრომის უსაფრთხოების ნორმებით დადგენილ ვალდებულებებს.

კომპანია ასრულებს გარემოსდაცვითი მონიტორინგის სქემით დადგენილ ვალდებულებებს და საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროში აგზავნის გარემოსდაცვითი მონიტორინგის კვარტალურ და წლიურ ანგარიშებს. აგრეთვე, EBRD-სთან დადებული ხელშეკრულების თანახმად, კომპანია ასრულებს გარემოსდაცვითი და სოციალური სამოქმედო გეგმით გათვალისწინებულ ვალდებულებებს.


კომპანიამ უნდა განახორციელოს ტყის განაშენიანება 2017-2030 წლებში. 2017 წელს ტყის განაშენიანებაზე გაწეულმა ხარჯმა შეადგინა 165,000 ლარი. შედეგად, შექმნილია სანერგე მეურნეობა, სადაც დაითესა ადგილობრივი წიწვოვანი ხეები. აღმოცენებული

ნერგები გამოიყენება ტყის განაშენიანების ვალდებულების შესასრულებლად. 2020 და 2021 წლებში კომპანიამ გაწია ტყის განაშენიანების ხარჯები, შესაბამისად, 429,000 და 322,000 ლარის ოდენობით.

ელექტროენერგიის მზარდი მოხმარების პირობებში კომპანიის მიზანია განვითარებული ინფრასტრუქტურითა და მაღალკვალიფიციური თანამშრომლებით უპასუხოს თანამდეროვე გამოწვევებს და იტვირთოს მისია, რომლის ამოსავალი წერტილია, გამოიმუშაოს შეძლებისდაგვარად მეტი ელექტროენერგია და ჩვენი ქვეყნის ენერგოდამოუკიდებლობაში წვლილის შესატანად. ეს მმართველობითი ანგარიშგება კომპანიის ხელძღვანელობის მიერ დამტკიცდა და ხელი მოეწერა 2022 წლის 30 სექტემბერს.



გიორგი ქავთარაძე
გენერალური დირექტორი



ზვიად ალავიძე
მთავარი ბუღალტერი